ლაშა ბუღაძე

ნავიგატორი

რადიოპიესა

მთავარი ხმები:

როსტომის მანქანის ნავიგატორი

როსტომი

ჯაყელი

კლარა

არც ისე მთავარი ხმები:

დირექტორი (ბ-ნი ოთარი)

დეპარტამენტის უფროსი (ემზარი)

აკრბა

როსტომის მამა

ჯაყელის მანქანის ნავიგატორი

მოქმედების ადგილები: როსტომის მანქანა, როსტომის მამის სახლი, როსტომის სამსახურის ლიფტი, კლარას კაბინეტი, დირექტორის კაბინეტი, მეთერთმეტე სართულის დერეფანი, ჯაყელის ოთახი, ჯაყელის მანქანა

1.

ლიფტში

აკრბა, როსტომი

როსტომი - მეთერთმეტეზე, არა?

აკრბა -დიახ.

როსტომი - მივაჭირო თითი თქვენს მაგივრად?

აკრბა - თუ არ შეწუხდებით.

პაუზა.

როსტომი -მომწონს ჩვენი ახალი ლიფტი. სარკეც გვაქვს...

აკრბა - სად?

როსტომი - ზუსტად თქვენს ზურგს უკან. *(პაუზა)* ხომ კარგია? წინაში არ გვქონდა.

აკრბა - დიახ.

როსტომი = საინტერესოა, ასუქებს თუ ახდუნებს? *(იცინის)*

აკრბა - რა?

როსტომი - სარკე...

აკრბა - წარმოდგენა არა მაქვს. არ მიყვარს სარკეში ყურება.

როსტომი - ჩვენი სართულის სარკე ახდუნებს. ჩონჩხს ვგავარ. *(იცინის. პაუზა)* თქვენი წონა ბრძანეთ.

აკრბა - როგორ?

როსტომი - რამდენი კილო ხართ?

აკრბა - არ დავინტერესებულვარ.

შედარებით ხანგრძლივი პაუზა.

როსტომი - დიდი ხნის წინ უნდა გამოიცვალათ ის ლიფტი. ერთ სიცოცხლეს ვათავებდი, შიგ რომ შევდიოდი. გახსოვთ, როგორ ჯანჯღარებდა? ერთხელ ვირთხა დამიხვდა შიგნით – გაიღო და გამოხტა. *(იცინის)* ამის მერე წესად მაქვს – ლიფტში უცებ აღარასდროს შევდივარ. *(პაუზა)* ერთადერთი, ძია ამირანი შემეცოდა... კაცი ფაქტობრივად ჩვენს ლიფტთან იყო შეზრდილი. გახსოვთ მისი ტაბურეტი? ვერ ვხვდები, როგორ ატევდა ამ სივიწროვეში. *(პაუზა)* ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის დროს იჯდა აქ. *(იცინის. პაუზა. შეშფოთებით)* არ გეჩვენებათ, რომ ზედმეტად ნელა ვმოძრაობთ?

აკრბა - მგონი, არც დავძრულვართ.

როსტომი - გავიჭედეთ? *(პაუზა)* ეტყობა, არასწორ ღილაკებს ვაჭერ. *(იცინის. პაუზა)* თქვენ მეთერთმეტეზე, არა?

აკრბა - მოდით, მე მივაჭერ...

როსტომი - არა, არა... დავიძარით? კი. *(პაუზა)* აი, ეს მინუსი აქვთ ამ ახალ ლიფტებს – ვერ გაიგებ, მოძრაობენ თუ ერთ ადგილზე დგანან.

2.

დირექტორთან

დირექტორი, როსტომი

დირექტორი - ფერმკრთალი მეჩვენებით.

როსტომი *(მორცხვად)* - უკაცრავად...

დირექტორი - მე ნუ მიხდით ბოდიშებს. თავს მიხედეთ. ნორმალურად იკვებებით?

როსტომი -ვცდილობ.

დირექტორი - თუ არ ვცდები, უცოლო ხართ...

როსტომი - დიახ, ამ ეტაპზე ასეა.

დირექტორი - რატომ მერე? ასაკი?

როსტომი - ორმოცდამეხუთეში ვარ.

დირექტორი - ბევრია. ყურადღებით უნდა იყოთ.

როსტომი - ვცდილობ.

დირექტორი - კაცები ხომ არ მოგწონთ?

როსტომი- არა.

დირექტორი - დღეს ბევრს მოწონს... ამიტომ გკითხეთ.

როსტომი - ჩემთვის მიუღებელია...

დირექტორი - ჩვენს ახალ ლიფტზე რა აზრის ხართ?

როსტომი - დიდებულია! აღტაცებული დავრჩი.

დირექტორი - მანქანაც მოგეწონებათ.

როსტომი - რომელი მანქანა?

დირექტორი - მანქანით ივლით რეგიონებში.

როსტომი - მე?

დირექტორი - კი. ჯერ არ უთქვამთ? გადაწყვეტილება მივიღეთ თქვენთან დაკავშირებით. ადგილზე გაეცნობით მშენებარე პროექტებს.

როსტომი *(შეშფოთებით)*- ეს საბოლოო გადაწყვეტილებაა?

დირექტორი - უკმაყოფილო ხართ?

როსტომი - არა... ჩემს ასაკში ცოტა რთულია პროფილის შეცვლა. საკაბინეტო მუშაობას ვარ შეჩვეული.

დირექტორი - იცით, როგორ მიყვარდა შაქარი? ჩაიში ოთხ კოვზზე ნაკლებს არ ვიყრიდი. ახლა კი სახალინზე ვარ – დიაბეტის გამო. ვიწვალე, მაგრამ შევეჩვიე.

როსტომი - მძღოლს მომამაგრებენ?

დირექტორი - არა. ზედმეტი ხარჯია. თქვენი მძღოლი თქვენვე იქნებით.

როსტომი - ათი წელია საჭესთან არ ვმჯდარვარ... გზები არ ვიცი...

დირექტორი - მანქანას თავისი ნავიგატორი აქვს. საერთო ენას ადვილად გამონახავთ.

როსტომი - რამდენად ხშირად მომიწევს რეგიონებში გასვლა?

დირექტორი - დეტალებს დეპარტამენტის უფროსი მოგახსენებთ.

3.

დეპარტამენტის უფროსთან

დეპარტამენტის უფროსი, როსტომი

როსტომი - თვეში ერთხელ? თვეში ორჯერ? კვირაში სამჯერ? ზუსტად უნდა ვიცოდე.

დეპარტამენტის უფროსი - ახლა ვერ გეტყვი. პირველ თვეებში უფრო დაგტვირთავენ.

როსტომი - რას გულისხმობს ეს *დატვირტვა?* მეტი კონკრეტიკა მჭირდება. ავადმყოფი მამა მყავს, დიდი ხნით ვერ დავტოვებ, ფეხს მოიტეხავს. მითხრან: უნდა იარო ორშაბათობით და დავმშვიდდები. რაღა მე ამიჩემეს!

დეპარტამენტის უფროსი - შენ გენდობიან. ადგილზე პრობლემები გვაქვს. ნელა მუშაობენ. წლის ბოლოს ოთხივე პროექტი უნდა ჩავაბაროთ, თორემ თავებს დაგვაჭრიან.

როსტომი - მშენებლობის ზედამხედველად მიშვებენ? პირდაპირ მითხარი, არ მეწყინება.

დეპარტამენტის უფროსი - არა, მხოლოდ შეამოწმებ და შეაფუცხუნებ.

როსტომი - რომელი რკნის მკვნეტელი მე მნახეს! ბუზი არ ამიფრენია ჩემ ცხოვრებაში. *(გაბრაზებული იცინის)*

დეპარტამენტის უფროსი - სამაგიეროდ, პრინციპული ხარ. შენებურად იცი მიწოლა. რა გინდა, გაქო? მილიონი საქმე მაქვს.

როსტომი - რა რეგიონებია?

დეპარტამენტის უფროსი - კონფლიქტური...

როსტომი *(შეიცხადებს)* - რა?

დეპარტამენტის უფროსი – ვხუმრობ. *(იცინის. პაუზა)* მაგრამ ახლოსაა კონფლიქტურ რეგიონებთან.

როსტომი - ისევ ხუმრობ?

დეპარტამენტის უფროსი - აფხაზეთის ადმინისტრაციულ საზღვართან დასასვენებელ-საცხოვრებელი კომპლექსი შენდება. თავისი აუზებით, საქანელებით ეზოებში, ბავშვებით და ძიძებით... პირდაპირ გეტყვი: შეიძლება ითქვას, ჯინაზე ვაშენებთ; ეს დასაბოღმი პროექტია. არ გინდათ ჩვენთან? მაშინ შორიდან უყურეთ ჩვენ კორპუსებს. *(იცინის)*

როსტომი - რუსებთან საომრად მიშვებთ?

დეპარტამენტის უფროსი - მუშებთან და არა რუსებთან! რუსები რა შუაშია.

როსტომი - მარტო ეგ რეგიონია?

დეპარტამენტის უფროსი - არა, კიდევ სამი პუნქტი გვაქვს კავკასიაში.

როსტომი - იმედია, მხოლოდ კონფლიქტურ რეგიონებში...

დეპარტამენტის უფროსი - საკმაოდ მასშტაბური პროექტია.

როსტომი - ყურებს არ ვუჯერებ. ხალხო, გაგიჟდით? მე მკიდებთ ამხელა პასუხისმგებლობას? ათი წელია ტროლეიბუსიდან არ ჩამოვსულვარ.

დეპარტამენტის უფროსი - არა. შენს გარდა კიდევ ყავთ ხალხი, ერთმანეთს შეენაცვლებით.

როსტომი - მანქანის მართვის წესები არ მახსოვს.

დეპარტამენტის უფროსი - ჯერ ქალაქში ივლი, გაიხსენებ. ადაპტაციის კურსს გაივლი, ასე ვთქვათ.

როსტომი - თუ დავიკარგე, შენ მიშველი?

დეპარტამენტის უფროსი - სად, თბილისში?

როსტომი - არა, გზებზე...

ადმინისტრაციის უფროსი - არ დაიკარგები – ნავიგატორი გექნება.

4.

კლარასთან

კლარა, როსტომი

როსტომი - ბავშვობიდან მეშინოდა დაკარგვის. ცამეტ წლამდე კაბაზე ვეპოტინებოდი დედაჩემს. *(მოსვამს ყლუპს)* გვიან დავკაცდი. *(ჭიქას ლამბაქზე დებს)* ბწყინვალე ყავაა. *(პაუზა)* როგორც ყოველთვის. *(პაუზა)* მომწონს შენი კაბინეტი. მიყვარს აქ ყოფნა.

პაუზა.

კლარა - ხელსახოცი აიღე. ტუჩი მოგეთხუპნა.

როსტომი - ვაი, უკაცრავად... *(პაუზა)* რა უნდა ვაკეთო გზაში ხუთ-ხუთი საათი! ხომ იცი, მე თუ ვინმეს არ ველაპარაკე, გავგიჟდები. ვერ ვიტან ჩუმად ჯდომას. *(მოსვამს. პაუზა)* მოსაუბრე ყველას უნდა. არც მე ვარ გამონაკლისი. *(მოსვამს. პაუზა)* არ შეგეცოდა ძია ამირანი?

კლარა - არა. კიბით ამოვდიოდი ხოლმე.

როსტომი *(გაოცებული)* - მართლა? ჰო, ასეა, ლიფტში არასდროს შემხვედრიხარ.

კლარა - საშინელი სუნი იდგა.

როსტომი –ლიფტში ცხოვრობდა კაცი...

კლარა - პატრიარქის პლაკატები, თერმოსი, გაზეთები, ფლოსტები... საშინელება იყო... ლიფტის გარდა ყველაფერს ჰგავდა!

პაუზა.

როსტომი *(უაღრესად თბილად, მცირე შეშფოთებით)* – რაღაც გაღიზიანებული ხარ. გინდა, სასადილოში ჩავიდეთ? ნამცხვრები ექნებათ.

კლარა - არა, სამუშაო მაქვს.

როსტომი - ნეტა შენ თავს მატანდნენ ამ მანქანის მაგივრად...

კლარა -რატომ?

როსტომი *(ღელავს)*-რა რატომ? სამსახურში შენ გამო მიხარია მოსვლა. არ იცი? აი, გავბედე და გითხარი, როგორც იქნა. *(იცინის)* უჰ, გავწუთლდი კიდეც.

კლარა *(კვლავ იმავე ტონით)* -მე რომ არ ვიყო, განცხადებას დაწერდი წასვლაზე?

როსტომი - დავწერდი. *(პაუზა)* არ გჯერა? *(პაუზა)* არ გჯერა და ნუ გჯერა. *(მოსვამს)* დღეს ცუდი ხარ.

ხანგრძლივი პაუზა.

კლარა *(ხმადაბლა, მკაცრად)*-როსტომ, მომისმინე. მე არ მინდა, რომ ჩემთან ამოხვიდე ხოლმე.

როსტომი *(ყავა გადაცდება)* -რა თქვი?

კლარა - არ მომწონს ეს ერთობლივი ყავის სმები. *(პაუზა. ტონს არბილებს)* შენ ძალიან კარგი და პატიოსანი ადამიანი ხარ, მაგრამ მე არ მსიამოვნებს შენი ყურადღება. ჯობია ეს ახლავე გითხრა, თორემ მერე უფრო გატკენ გულს. მეგობრობა – კი ბატონო, მაგრამ დანარჩენზე – უკაცრავად, არ გამოვა. *(პაუზა)* ბოდიშს გიხდი.

5.

მანქანაში

ნავიგატორი, როსტომი

ნავიგატორი - ოც მეტრში შეუხვიეთ მარჯვნივ. შეუხვიეთ.

როსტომი *(ბრაზობს)* -გავიგე! ყრუ არ ვარ...

პაუზა.

ნავიგატორი - ათ მეტრში ბრუნი წრეზე. *(პაუზა)* ათ მეტრში ბრუნი წრეზე.

როსტომი - კი ბატონო.

პაუზა

ნავიგატორი - შეუხვიეთ მარჯვნივ.

როსტომი *(უყვირებს)*-სად ხედავ შესახვევს? შენზე უკეთ ვიცნობ ჩემ ქალაქს, აქ გავიზარდე...

პაუზა.

ნავიგატორი - თქვენ დაუშვით შეცდომა. გასცდით აღნიშნულ პუნქტს.

როსტომი - არანაირი შეცდომა არ დამიშვია.

ნავიგატორი - მოატრიალეთ და დაუბრუნდით გადასახვევს.

როსტომი - აქ ვერ მოვატრიალებ!

ნავიგატორი - თქვენ დაუშვით შეცდომა. გასცდით აღნიშნულ პუნქტს.

როსტომი *(შეღონებულია)*-ეს მე ინფარქტამდე მიმიყვანს...

ნავიგატორი - მოატრიალეთ და დაუბრუნდით გადასახვევს.

როსტომი - არა!

პაუზა.

ნავიგატორი - ორმოცდაათ მეტრში შესახვევი მარცხნივ.

როსტომი *(ირონიით)* - და იქიდან მომავალ მანქანას შევასკდე, არა? ჩემი მოკვლა გინდა?

ნავიგატორი - შეუხვიეთ.

როსტომი - გამოვრთავ ახლა ამას...

ნავიგატორი - მოატრიალეთ და დაუბრუნდით გადასახვევს.

როსტომი - შეგაგინებ, იცოდე! *(პაუზა. ბურტყუნით)* სად მივყავარ ამ კრეტინ ქალს...

ნავიგატორი - მოატრიალეთ.

როსტომი დუმს. პაუზა.

მოატრიალეთ და დაუბრუნდით გადასახვევს.

როსტომი არ პასუხობს. პაუზა.

მოატრიალეთ.

როსტომი - მე ვერ დამღლი, გენაცვალე... შენზე უარესებს მოვრევივარ.

6.

მამასთან

მამა, როსტომი

მამა *(ხვრეპს სუპს)*-ცოლად აღარავინ გამოგყვება. შანსი გაშვებული გაქვს, მორჩა. ორმოცდაათი წლის კაცი ხარ.

როსტომი *(ნაწყენია)*-ორმოცდახუთის.

მამა-რაღა უკლია... *(პაუზა. ხვრეპს)* რამდენი კარგი გოგო გაუშვი ხელიდან... ახლა, ალბათ, ქალები არიან. შვილები და შვილიშვილები ჰყავთ. აწი ვინმე ნათრევს თუ მოიყვან... ან მკვდარს. *(ხვრეპს)* მკვდრები არ მოგწონს? *(ბოროტად იცინის. პაუზა)* მე ხომ ვხვდები, გააგიჟებდი იმ გოგოს; ყავა-შმავა კი არ იყო საჭირო, პირდაპირ საქმეზე უნდა გადასულიყავი.

როსტომი *(უფრო მეტად ეწყინება)* -აღარაფერს აღარ მოგიყვები.

მამა - ამ ჩემ ფეხებს. *(ხვრეპს)*

როსტომი - მგონია, გართობ ჩემი ამბებით, თურმე გაღიზიანებ... უკაცრავად.

ხანგრძლივი პაუზა.

მამა - აწი მარტო თუ იყიდი ქალს, მოწონებაზე - ბოდიში. გაგივიდა ვადა. შენ ასაკში სამი ცოლი მყავდა.

როსტომი - კუ-კუ! სად არიან მერე ეს ცოლები?

მამა *(დუმილის შემდეგ)*-არანორმალური ხარ.

როსტომი - უკაცრავად, მაგრამ ამ მხრივ - ანუ როგორც ქმარი - ჩემთვის ნამდვილად არ ხარ ავტორიტეტი.

მამა *(ხვრეპს სუპს)* -აი დარდი!

ხანგრძლივი პაუზა.

როსტომი - შეიძლება კვირაობით ვერ გნახო. სხვა განყოფილებაში გადამიყვანეს.

მამა - მაშინებ?

როსტომი - არა, სერიოზულად ვამბობ. მანქანაც მომცეს.

მამა *(თითქოს იბუტება)* -გილოცავ.

როსტომი - ნავიგატორი აქვს. *(პაუზა)* იცი, ეგ რა არის? გზას მაჩვენებს. ქალის ხმით. ჯერ შეგუების პროცესში ვარ. მაგრამ უკვე ჭკუიდან გადამიყვანა. *(იცინის. პაუზა)*

მამა - უთხარი, ცოლად გამოგყვეს. *(ხვრეპს სუპს)*

7.

ისევ მანქანაში

ნავიგატორი, როსტომ

ნავიგატორი - ათ მეტრში ბრუნი წრეზე. ათ მეტრში ბრუნი წრეზე.

როსტომი *(გაღიზიანებული)* - გავიგე! ვაბრუნებ

ნავიგატორი - ბრუნი წრეზე.

როსტომი - ნუ მიმეორებ ამდენჯერ. ნერვები მეშლება.

ნავიგატორი - მოუხვიეთ წრეზე.

როსტომი - აბა, სად არის წრე?

ნავიგატორი - მოუხვიეთ წრეზე

როსტომი - ა, ჰო, დავინახე...

ნავიგატორი - მოუხვიეთ.

როსტომი - ვუხვევ! ასჯერ ნუ მიმეორებ ერთი და იგივეს!

ნავიგატორი - მოუხვიეთ.როსტომი - სპეციალურად შვრები?

ნავიგატორი - ბრუნი წრეზე.

როსტომი - აქ არ ვიყავი? წრეზე დაგყავარ? ბენზინს მახარჯინებ? უკაცრავად, ჩემი ჯიბიდან კი არ ვიხდი.

პაუზა.

ნავიგატორი - გეზი – პირდაპირ. გეზი – პირდაპირ.

პაუზა.

როსტომი *(უშუალოდ, წყენის გარეშე)* - კლარამ გამაოცა. პირველად ვნახე, ქალი ასე ლაპარაკობდეს. უხეში გოგოა. შოკში ვარ. ამ დროს, შეყვარების პირას ვიყავი.

პაუზა.

ნავიგატორი - ორმოცდაათ მეტრში შეუხვიეთ მარჯვნივ.

როსტომი - არ მისმენ?

ნავიგატორი - შეუხვიეთ.

როსტომი - ცოლად არ გამომყვები? მამაჩემს ძალიან მოწონხარ.

9.

სასადილოში

კლარა, როსტომი

როსტომი - მოგიჯდები, შეიძლება?

პაუზა.

კლარა - დაბრძანდი.

როსტომი - მადლობა.

ჯდება. პაუზა.

კლარა - როგორ ხარ? დაუმეგობრდი?

როსტომი - ვის?

კლარა - მანქანას.

როსტომი - აჰ, კი. უკვე მოვასწარი წასვლა-წამოსვლა. ქალი მაცოფებს.

კლარა - ახალი უფროსი გყავს?

როსტომი *(იცინის)* - არა, ნავიგატორი.

კლარა - უხასიათოა?

როსტომი - ჯიუტია. *(იცინის. პაუზა)* მაინც საბჭოთა ადამიანი ვარ – ვერაფრით ვეწევი ტექნიკურ პროგრესს. არ შემიძლია. მეშინია ამ მანქანების. უკვე მზად ვარ, ჩამანაცვლონ. ვაღიარებ, მე წავაგე ეს ბრძოლა. ხელებს მაღლა ვწევ. *(იცინის)*

კლარა *(უყურადღებოდ, ოდნავ გაღიზიანებულად)* - ვისთან წააგე?

როსტომი – მანქანებთან. ეს ქალი ჩემზე ჭკვიანია. ვეჩხუბები, ვეჩხუბები, მაგრამ ბოლოს მაინც თავისი გააქვს და ასეც უნდა მოხდეს – ისინი ყოველთვის მართლები არიან.

კლარა - ნავიგატორზე ამბობ?

როსტომი - კი. *(პაუზა)* მან უკეთ იცის ჩემი ქვეყნის გზები, ვიდრე მე. მალე საჭესთანაც აღარ დავჭირდები – უჩემოდ ივლიან. *(იცინის. პაუზა)* ძია ამირანის ბედი მელის...

კლარა - რა მხრივ?

როსტომი - ვერ ხვდები, რა მხრივ?

კლარა - არ გისმენდი, უკაცრავად. ამიხსენი.

როსტომი - მარტივია: კაცი მთელი ცხოვრება ლიფტში მუშაობდა და ღილაკებს ჩვენ მაგივრად აჭერდა თითებს. ჯერ კიდევ სტალინის დროიდან.

კლარა - მეზიზღება სტალინი...

როსტომი - მეც. ჰო... ახლა კი ახალი ლიფტი გვაქვს და ეს ლოგიკურია. ნახე ყავის ახალი აპარატი? შემოსასვლელში დადგეს.

კლარა - კი. კარგია.

როსტომი - მეც მომეწონა. *(ხმას უკლებს)* ესე იგი, ნათელას გააგდებენ. ეგეც კაი ყვავია. *(იცინის)*

კლარა - რომელ ნათელას?

როსტომი *(ნიშნისმოგებით)* - ნათელა არ იცი, ვინაა?

კლარა - სასადილოს გამგე?

როსტომი - დიახ, გენაცვალე.

კლარა - მეზიზღება ეგ ქალი...

როსტომი - მეც. *(იცინის. პაუზა)* გზაში სტატიებს ვიგონებ. მანქანები გვანაცვლებენ. მანქანები ჩვენს ადგილებს იკავებენ. გრამატიკა რომ არ მძულდეს, დიდი სიამოვნებით დავწერდი.

კლარა - ბანალურია.

როსტომი - ბანალურია. მე ხომ მწერალი არ ვარ.

კლარა - არ ჭამ?

როსტომი - მადა არ მაქვს.

კლარა - აბა, რატომ შემოხვედი?

როსტომი - შენ დაგინახე და იმიტომ.

კლარა – როსტომ, გემუდარები...

როსტომი *(აღელვებულია)* - რას მემუდარები, კლარა! ამდენ სისულელეს იმიტომ ვლაპარაკობ, რომ შენთან მინდა ყოფნა. თავზე ცივი წყალი მაქვს გადასხმული. რა ტექსტები მითხარი იმ დღეს? რა მოხდა?

კლარა - ხმას დაუწიე, გთხოვ. ხალხი გვიყურებს. ნუ მძაბავ.

როსტომი - ხმამაღლა ვლაპარაკობ? *(ბრაზობს, ხმადაბლა)* გვიყურონ, მერე რა!

კლარა - მე მივდივარ...

როსტომი *(სასოწარკვეთილია)*- მოიცა, კლარა! რატომ გამირბიხარ? შენ გქონდა ჩემს მიმართ სიმპათია, ხომ მართალია? მე ეს არ მეჩვენებოდა...

კლარა - ხელი გამიშვი, როსტომ.

როსტომი - გაშვებული მაქვს, კლარა. რა გჭირს. ხომ იყავი ჩემდამი კარგად განწყობილი? გახსოვს, როგორ მიყურებდი შალაბმერიძის პრეზენტაციაზე? ეს მზერა არასდროს დამავიწყდება. შეუძლებელია, არ გახსოვდეს...

კლარა - როსტომ, გიჟს გავხარ.

როსტომი - ეს შენ გავხარ გიჟს. *(პაუზა)* უკაცრავად. მოიცა... ამიხსენი, რა ხდება! მეგობრობაც არ შეიძლება? დამელაპარაკე! *(პაუზა)* ვინმე გყავს?

10.

ისევ მანქანაში

ნავიგატორი, როსტომი

როსტომი - ...ჩემზე უმცროსი. ჩემზე სიმპათიური. ჩემზე საინტერესო. პერსპექტივით...

ნავიგატორი - ოც მეტრში შეუხვიეთ მარცხნივ.

როსტომი - ბავშვია, მე მოვკვდე.

ნავიგატორი - შეუხვიეთ.

როსტომი - კაი ძროხაა, ამ დროს. ოცდაათის ხომ იქნება უკვე? *(პაუზა)* ალბათ, სულ ქება-ქებაში გაზარდა დედამ: რა ლამაზი ხარ, რა ნიჭიერი ხარ...

ნავიგატორი - შეუხვიეთ.

როსტომი - საწყალი... *(პაუზა. ბრაზობს)* ნორმალურად დალაპარაკება არ შეგიძლია? შეგჭამ? გიჩივლებ?

ნავიგატორი - გეზი – პირდაპირ.

როსტომი - ავადმყოფი... ყველა ჩვენ გვიყურებდა. ნათელას ყურები ჰქონდა დაცქვეტილი. *(პაუზა)* არ ვიცნობ ქალებს. რა ვქნა. *(იცინის. პაუზა)*

ნავიგატორი - გეზი – პირდაპირ.

როსტომი *(ნაწყენია – უაღრესად გულწრფელად)* – უნდა აგეხსნა, კლარა. ასე არ იქცევიან. *(პაუზა)* ხომ მოვწონდი? თუ მეჩვენებოდა? *(იცინის)*

ნავიგატორი - შეუხვიეთ.

როსტომი *(სერიოზულად)* - ასეთი არაადეკვატური ვარ? *(პაუზა)* ჰა, გამეცი პასუხი. არ მოვწონდი?

ნავიგატორი - გადადით მარჯვენა ხაზზე.

როსტომი - რა გამომეპარა? *(პაუზა)* ხომ მეუბნებოდა: ყავას დაგალევინებ, ყავას დაგალევინებ? *(პაუზა)* რა დაემართა?

ნავიგატორი - გადადით მარჯვენა ხაზზე.

როსტომი - ანუ არ მოვწონდი. მეჩვენებოდა. *(პაუზა)* ჰა? არა თუ კი?

ნავიგატორი - კი.

როსტომი - რა?

როსტომი მკვეთრად ამუხრუჭებს.

11.

სასადილოში

ჯაყელი, როსტომი

ჯაყელი - როსტომ, რაღაც ვეღარ გხედავ მეთერთმეტეზე. რატომ დაგვივიწყე?

როსტომი - საქმეები. საშინლად დატვირთული ვარ.

ჯაყელი *(ჭამს)* - კარგია მერე. აბა, ჩვენ უსაქმოდ ვყრივართ.

როსტომი *(დუმილის შემდეგ)* - მთელი მეთერთმეტე სართული ჩემზე ლაპარაკობს, არა?

ჯაყელი *(დაიბნევა – პირში ლუკმა აქვს)* - არ ვიცი. რატომ უნდა ლაპარაკობდეს?

როსტომი *(ცდილობს, ხალისიანი იყოს)* - თავს ნუ იკატუნებ, დარწმუნებული ვარ, მშვენივრად ხვდები, რასაც ვგულისხმობ...

ჯაყელი - ძმის სულს ვფიცავარ, აზრზე ვერ მოვდივარ.

როსტომი - ყველა ჩვენ გვიყურებდა იმ დღეს...

ჯაყელი - ვის?

როსტომი - მე და კლარას. აქ.

ჯაყელი - რა ქენით? იზასავეთ?

როსტომი - კლარას არაფერი მოუყოლია?

ჯაყელი - საუკუნეა, არ მინახავს.

როსტომი - შენ თვითონ ვერაფერს ხვდებოდი?

ჯაყელი - მაპატიე. წამლებზე ვზივარ. ვერაფერს... ამიხსენი.

როსტომი - ვერ ხვდებოდი, ერთმანეთი რომ მოგვწონდა მე და კლარას?

ჯაყელი *(განცვიფრებული)* - თქვენ მოგწონდათ ერთმანეთი?

როსტომი - რა, ცუდი გოგოები და ბიჭები ვართ?

ჯაყელი იცინის.

როსტომს (სწყინს) - რა გაცინებს?

ჯაყელი *(ჩუმდება. პაუზა)* - ბოდიში. უცებ ვერ დაგაკავშირეთ.

როსტომი - მეტისმეტად ბებერი ვჩანვარ კლარას გვერდით?

ჯაყელი - რა შუაშია! ეგ არც მიგულისხმია. ნუ გწყინს ყველაფერი.

როსტომი - მწყინს.

ჯაყელი - ეს შენი პრობლემაა.

13.

ისევ მანქანაში

ნავიგატორი, როსტომი

მანქანის რადიოდან მუსიკა ჟღერს.

ნავიგატორი - ათ მეტრში შეუხვიეთ მარცხნივ. *(პაუზა)* შეუხვიეთ.

მუსიკა იცვლება: როსტომი სხვა ტალღაზე რთავს.

ნავიგატორი - ოც მეტრში შეუხვიეთ მარჯვნივ.

როსტომი - გადათხრილია.

ნავიგატორი - შეუხვიეთ.

როსტომი - შემოვლითი გზით წავალ...

ნავიგატორი - შეუხვიეთ.

როსტომი - ხუთი თითივით ვიცნობ ამ უბანს.

პაუზა.

ნავიგატორი - როგორც ჩანს, არ იცნობთ.

როსტომი - ო, ღმერთო! რა თქვი?

მუსიკა წყდება.

გაიმეორე, რა მითხარი! *(პაუზა)* გაიმეორე, რა თქვი! *(პაუზა. (იყვირებს)* ვინ ლაპარაკობს? სად ხართ? აბსოლუტურად არ არის სასაცილო! *(პაუზა)* თქვენი ჭკუის

ხალხი აშაყირეთ. თქვენს უფროსებს გადაეცით, უკეთესი ხუმრობები მოიფიქრონ. *(ხელს ურტყამს საჭეს)* გეყოფათ! გაჩერდით!

14.

ნავიგატორთან (ღამე)

ნავიგატორი, როსტომი

როსტომი *(გაღიზიანებულია)* -ესღა მაკლდა სრული ბედნიერებისთვის. თუმცა ველოდი... ველოდი, რომ რაღაც მსგავსი დამემართებოდა. რა, მშვიდი ცხოვრება მქონდა? ბავშვობიდან სტრესებში ვარ. დედა სახლიდან გაიქცა, მამა ხეიბარი მყავს, ოთხ ცალ ომს მოვასწარი... ინციდენტი კლარასთან. ბოლო შემთხვევამ საერთოდ ამომაგდო კალაპოტიდან.

ნავიგატორი - ნუ იკვლევთ. განსაკუთრებული არაფერი ხდება.

როსტომი - რას ნიშნავს *ნუ იკვლევ?* ის, რაც ხდება, ბუნებრივია? ჩვენი საუბარი ნორმალურად გეჩვენებათ? მე – არა. უკაცრავად. ან ჰალუცინაციაა, რაც, როგორც ცნობილია, შიზოფრენიის ერთ-ერთი უპირველესი სიმპტომია, ან ჩემი თანამშრომლების

საკმაოდ უსიამოვნო ოინი... უკბილო ხუმრობა... გამოვტყდები, მერჩია, ეს უკანასკნელი ყოფილიყო.

ნავიგატორი - რას გულისხმობთ?

როსტომი - მე წარმოდგენილი მყავს ჩემი რამდენიმე ახალგაზრდა თანამშრომელი... *(დაბნეულია; სიტყვებს ვერ პოულობს)* ისინი დისტანციური მართვის პულტს ფლობენ, ოთახში გამოკეტილან და იქიდან გმართავენ. ჰო... და იცინიან. მე დამცინიან. *(პაუზა)* სხვანაირად ვერ ვხსნი ამ მოვლენას.

პაუზა.

ნავიგატორი - წადით სახლში. ორგანიზმი მოსვენებას გთხოვთ. დილიდან ქუჩაში ხართ.

როსტომი -ჰო, არა? არ მიფიქრია ამაზე.

ნავიგატორი - მიბრძანდით.

როსტომი - არ მამასხარავებენ?

პაუზა.

ნავიგატორი - ოც წუთში თორმეტი ხდება. გეძინებათ.

როსტომი - არ მეძინება...

ნავიგატორი - ნუ მეკამათებით.

როსტომი *(მორჩილად)* -კარგი. *(პაუზა. უღონოდ)* ფსიქოლოგი მჭირდება.

15.

ნავიგატორთან (დილა)

ნავიგატორი, როსტომი

როსტომი - სხვათა შორის, მადლობა მინდა, გითხრა. გუშინ მართლა დაღლილი ვყოფილვარ, ოღონდ არ ვიცი, რამ დამღალა. *(იცინის. პაუზა)* ემოციურად უფრო ვარ ქანცგაწყვეტილი, ვიდრე ფიზიკურად. დავწექი თუ არა, მკვდარივით დამეძინა.

ნავიგატორი - ათ მეტრში შეუხვიეთ მარცხნივ.

როსტომი - ჩემთვის ბავშვობის მერე არავის უთქვამს - წადი, დაიძინეო.

ნავიგატორი - შეუხვიეთ.

როსტომი - უკანასკნელი, ვინც ჩემზე ზრუნავდა, დედაჩემი იყო. *(პაუზა)* სანამ მიგვატოვებდა. *(პაუზა)* საყვარელი გაიჩინა. *(პაუზა)* გრძელი ამბავია. *(პაუზა)* ასე რომ, მადლობა. *(იცინის. პაუზა)* როგორც ხედავ, აბსოლუტურად მშვიდად გესაუბრები - პანიკაში არ ვვარდები; რაკი გარეგნულად არაფერი შეცვლილა, აღარც ვღელავ. და არც რაიმე განსაკუთრებელი შინაგანი ცვლილება მომხდარა ჩემში. ნავიგატორს ვეკონტაქტები, მერე რა? არაორდინალურია? კი. არ უარვყოფ, მაგრამ არის თუ არა ეს სახიფათო? არა მგონია. ვისთვის უნდა იყოს სახიფათო - საზოგადოებისთვის? ვინმეს რამეს ვუშავებ ამ საუბრებით? ვიტრინებს ვამტვრევ? სკანდალებს ვაწყობ? ღმერთმა დამიფაროს - არა! იქნებ საკუთარ თავს ვვნებ? რითი? ნავიგატორთან საუბრით? სასაცილოა. შეიძლება თუ არა ეს ჩაითვალოს სიგიჟედ? ჩემი აზრით, გიჟი მაშინ ხდები, როცა ეს გარეგნულად გეტყობა; ან ტანსაცმელი არ გაქვს წესრიგში, ან ვარცხნილობა, ან წვერი გაქვს ალაგ-ალაგ გაპარსული... მგონი, ამ მხრივ ყველაფერი წესრიგშია. *(იცინის. პაუზა)* მთელი დილა ამაზე ვფიქრობ. და ახლა მშვიდად ვარ. *(იცინის. პაუზა)* ასე რომ, ვისაუბროთ.

16.

ლიფტთან

დირექტორი, როსტომი

დირექტორი - ო, როსტომ! როგორ მიდის თქვენი საქმე? შეეგუეთ მანქანას?

როსტომი - სავსებით, ბატონო ოთარ.

დირექტორი - ნავიგატორი როგორ მოგწონთ? გეხმარებათ?

როსტომი - თბილისის ქუჩებს მასზე უკეთ ვიცნობ. ვნახოთ, ტრასებზე რას იზამს.

დირექტორი - მე კი მძულს ქალის ხმა. მაბნევს. კაცის მირჩევნია. მაგრამ... ჩვენში დარჩეს, თანამედროვე ტექნოლოგიებს ვერაფერს ვუგებ. ძველი კაცი ვარ... ამ სისულელეების გარეშეც მშვენივრად დავდიოდი აქეთ-იქით. თქვენ რომელ სართულზე ხართ?

როსტომი - მეთხუთმეტეზე.

დირექტორი - წნევა არ გიწევთ? თქვენს ადგილას ქვემოთ ჩამოსვლაზე ვიფიქრებდი. პატარა აღარ ხართ.

როსტომი - ეს თქვენ უნდა გადაწყვიტოთ. *(შესცინებს*

დირექტორი - ორშაბათს სარევიზიო პუნქტში გაგაგზავნით. შეგეშინდათ? ნუ გეშინიათ. იქ თქვენი უნდა შეეშინდეთ. გახსოვდეთ, საომრად გიშვებთ.

17.

მანქანაში

ნავიგატორი, როსტომი

როსტომი - არ მიყვარს ორშაბათი. ჩემი ნება რომ იყოს, კვირას სამშაბათით დავიწყებდი. უფრო ადამიანურია. ორშაბათს მამგზავრებენ.

ნავიგატორი - თბილად ჩაიცვით. უღელტეხილზე მინუს რვა გრადუსია.

როსტომი *(შეშფოთებით)* - რა უნდა ჩავიცვა? სქელი პალტო ნაფტალინში მიდევს, ორ-სამ კვირაში ვაპირებდი ამოღებას.

ნავიგატორი - ზოლიანი ჟაკეტი.

როსტომი - *ირმებიანი?* იდიოტს არ ვგავარ ამ ჟაკეტში?

ნავიგატორი - არა. გიხდებათ.

როსტომი - ფეხზე?

ნავიგატორი - მაღალძირიანი ბათინკები.

როსტომი - შავები?

ნავიგატორი - კი.

როსტომი - ჟაკეტს მოუხდება?

ნავიგატორი - მოუხდება. ათ მეტრში შესახვევი მარცხნივ.

როსტომი - ეჭვი მეპარება.

ნავიგატორი – შეუხვიეთ.

როსტომი - პრობლემები მაქვს გემოვნების მხრივ. ძველმოდურად ვიცვამ. დეიდაჩემივით. არ გამოვრიცხავ, კლარა ჩემს ჩაცმულობას გაეღიზიანებინა. სამუზეუმო ექსპონატს ვგავარ.

ნავიგატორი - თქვენს გარდერობში რადიკალური ცვლილებებია შესატანი. შეიძინეთ ღია ფერის ტანისამოსი.

როსტომი - და ასაკი? ხომ არ გავიწყდება, რამდენი წლის ვარ?

ნავიგატორი - შეიძინეთ.

როსტომი - შეგახსენო, გიჟი რომ ტანსაცმლით იცნობა? *(იცინის)*

ნავიგატორი - უფრო მოგიხდებათ.

როსტომი *(პაუზა. არ მოელოდა ნავიგატორისგან ამგვარ კომპლიმენტს)* - მართლა? *(პაუზა)* მადლობა. *(პაუზა. შიშით)* შენი აზრით, არაადეკვატურად ვიცვამ?

ნავიგატორი - არა.

როსტომი - ისე ვიცვამ, რომ *არ ვჩანვარ?* უფრო უნდა გამოვირჩეოდე? ჰო, მაგრამ მაინც და მაინც ტანსაცმლით? უამრავი ისეთი თვისება მაქვს, რითიც სავსებით შესაძლებელია ჩემი შემჩნევა.

ნავიგატორი - მას საყვარელი ჰყავს.

როსტომი *(შემცბარი)* - ბატონო?

ნავიგატორი - საკმაოდ გავლენიანი.

როსტომი *(ეჭვით)* - არა...

ნავიგატორი - კი. საკმაოდ გავლენიანი.

როსტომი - გავიგე! ყრუ არ ვარ! *(პაუზა)* ზუსტად იცი? *(პაუზა)* საიდან გაიგე?

ნავიგატორი - ინფორმატორების ნაკლებობას არ ვუჩივი.

როსტომი *(ირონიით)* - ახალი ლიფტი დაიძმაკაცე? *(პაუზა)* უკაცრავად, უტაქტოდ გამომივიდა. *(პაუზა)* ვინ არის?

ნავიგატორი - ოც მეტრში შესახვევი მარჯვნივ.

როსტომი - არ შევუხვევ, სანამ არ მეტყვი.

პაუზა.

ნავიგატორი - შეუხვიეთ.

როსტომი *(ბრაზობს)* - იცოდე, გავაჩერებ! *(პაუზა)* რახან არაფერს მეუბნები, ესე იგი, არც ჰყავს არავინ. ჩემს გაღიზიანებას ცდილობ.

ნავიგატორი - უსმინეთ.

როსტომი - რას?

პაუზა. ნავიგატორი მანქანის რადიოდან წარმოადგენს კლარასა და აკრბას ხმებს:

კლარა - აბორტს გავიკეთებ.

აკრბა - მე არ მითანხმებ?

პაუზა.

კლარა - გითანხმებ, ხომ ხედავ.

როსტომი -რა ხდება?

აკრბა *(დაბნეულია)* - ამას ქვია შეთანხმება? ეს არ არის შეთანხმება... გამოვყოთ სპეციალური დრო...

როსტომი - აკრბას ხმაა...

კლარა *(ირონიით)* - თათბირზე?აკრბა -კლარა, გემუდარები... შენ მე მკლავ. იცი, სად მიდის ეს გზა? ეს გზა მიდის რეანიმაციამდე. შენ მე ჩემს პანაშვიდზე მიგყავარ.

კლარა - სასაცილო ხარ...

აკრბა - რატომ? რახან შენ მოგეწეგე?

კლარა - მატყუარა ხარ. სინამდვილეში, არ გჯერა, რომ აბორტს გავიკეთებ და ამაზე შფოთავ.

აკრბა - როგორ ამ... *(ხმა წყდება)*

როსტომი - რა თქვა? *(ხელს ურტყამს ნავიგატორს)* გაწყდა... რაღაცას ამბობდა.

ნავიგატორი - საკმარისია.

როსტომი - რა არის საკმარისი? აბსოლუტურად არ არის საკმარისი! ვერაფერი ვერ გავიგე! კლარა აკრბასგანაა ფეხმძიმედ? სულ ცოტა, ოცი წლით უფროსი მაინც იქნება მასზე... ღრმად შეუტოპავთ, ვერაფერს იტყვი. *(აგზნებული იცინის)* შოკში ვარ, *(დამარცვლით)* შო-კში ვარ... *(ბაძავს აკრბას) შენ მე ჩემს პანაშვიდზე მიგყავარ.* აკრბას სამი ჩემხელა ცოლი ყავს, მთასავით ქალი... კლარას ძვლებიანად შეჭამს. *(თავისვე სიტყვებით შეძრული)* კლარამ ზემდგომს მისცა *(ზიზღით)* რა ამაზრზენია. მაგრამ აი, ეს არ მესმის: მე რაღატომ მპატიჟებდა ყავაზე? ხომ ფაქტია, მეც მეარშიყებოდა. *(პაუზა)* თუ არა?

ნავიგატორი - არა. კაცად ვერ აღგიქვამდათ.

როსტომი -როგორ თუ ვერ აღმიქვამდა? რას გულისხმობ?

პაუზა.

ნავიგატორი - ოც მეტრში მოუხვიეთ წრეზე.

როსტომი *(უაღრესად შეურაცხყოფილია)* -არ მოვუხვევ.

18.

თანამშრომელთან

ჯაყელი, როსტომი

ჯაყელი - დაუმეგობრდი ნავიგატორს?

როსტომი - მგონი, ზედმეტადაც.

ჯაყელი - რა მხრივ?

როსტომი *(შიშით)* - ველაპარაკები. და არა მხოლოდ საგზაო თემებზე.

ჯაყელი *(იცინის)* - მერე? გცემს პასუხს?

პაუზა.

როსტომი - უმეტესად... კი.

ჯაყელი - თუ არ გაგცა, გამოცვალე. უენო ნავიგატორი ვის რად უნდა! *(იცინის)*

პაუზა.

როსტომი - რაღაც უნდა გკითხო და გთხოვ, არ ჩათვალო, თითქოს ამ შეკითხვას ქალზე ნაწყენი კაცი სვამდეს.

ჯაყელი - რა ხდება?

როსტომი - შენც იცოდი კლარასა და აკრბას რომანის შესახებ?

ჯაყელი - ვისი?

როსტომი *(ხმას უკლებს)*

კლარასა და აკრბას...

ჯაყელი - პირველად მესმის. *(იცინის)*

როსტომი *(ეჭვით)* - რატომ გაგეცინა?

ჯაყელი *(სერიოზულად, შეწუხებულია)* - არ ვიცი. წამლებზე ვარ. თავს ვერ ვაკონტროლებ.

როსტომი - ჩემზე გაგეცინა?

ჯაყელი - *(მტკიცედ)* არა.

როსტომი - ბოდიში, მაგრამ არ მჯერა.

ჯაყელი - ძმის სულს ვფიცავარ, თუ ვხვდებოდე, რაზე ლაპარაკობ.

როსტომი - რახან შენ იცინი, ესე იგი, ყველა მე დამცინის.

19.

დიდ გზაზე

ნავიგატორი, როსტომი

როსტომი - ფაქტია, ჩემზე იცინიან. პირი შეკრეს. ხედავ, თურმე, რამხელა ამბები ხდება მეთერთმეტე სართულზე! მე კი სად ვეტენებოდი ჩემი საცოდავი მეთხუთმეტე სართულიდან... *(ნაწყენი იცინის)*

ნავიგატორი - სამას კილომეტრზე მეტი გაქვთ გასავლელი. საქმეზე კონცენტრირდით.

როსტომი - გაფანტული ვარ?

ნავიგატორი - ორმოცდაათ მეტრში შეუხვიეთ მარცხნივ.

როსტომი - მე გულგახსნილი კაცი ვარ და სწორედ ეს მღუპავს... სხვები ამით სარგებლობენ.

ნავიგატორი - შეუხვიეთ.

როსტომი - რაც თავი მახსოვს, სულ იმას ვცდილობ, როგორმე იდეალური ურთიერთობები ავაწყო ადამიანებთან... ჯერ იყო და, დეიდაჩემმა გამაწვალა, მერე დედამ მიგვატოვა, მამაჩემიც როგორც ძაღლს, ისე მელაპარაკება. ექვსი წლი-დან ვწვალობ - ნორმალურ ურთიერთობებს ვეძებ.

ნავიგატორი - თქვენგან ხელმარჯვნივ, ოთხმოც კილომეტრში, რუსული ტანკები დგას. გახვევა აკრძალულია.

როსტომი - ვიცი. არც ვაპირებ. ჯერ არ გავგიჟებულვარ.

ნავიგატორი - სამხრეთ-ოსეთი ოკუპირებულია 2008 წლის აგვისტოდან.

როსტომი - ამ სახის ინფორმაცია ყველაზე მეტად მთრგუნავს.

ნავიგატორი - ნუ მიზოზინებთ - პედალს ფეხი დააჭირეთ.

როსტომი - არ გიყვარს ეს ადგილი? არც მე. თუ გამართობ, მადლობელი დაგრჩები.

ნავიგატორი როგორ?

პაუზა.

როსტომი - კლარასთან დამაქორწინე.

პაუზა.

ნავიგატორი - მაინც ვერ ივიწყებთ?

როსტომი - არა, უბრალოდ მაინტერესებს, როგორები ვიქნებოდით. *(პაუზა)* შეგიძლია, დამეხმარო?

ნავიგატორი - ძრავა არ გამორთოთ.

20.

ოჯახში

კლარა, როსტომი (მოხუცი ადამიანების ხმები აქვთ)

კლარა *(ულონოდ)* - არ მინდა ისე მოვკვდე, რომ სიმართლე არ იცოდე.

როსტომი - ნუ ლაპარაკობ სიკვდილზე. ეს აუტანელია.

კლარა - სხვა რამეა აუტანელი...

როსტომი - თავს იგზნებ. წნევა აგიწევს...

კლარა - მომისმინე, როსტომ...

როსტომი - ნუ ლაპარაკობ. მოსვი ეს...

კლარა - არ მინდა. მაცალე. უნდა გითხრა...

როსტომი - მღალატობდი? გპატიობ. ჯერ მოსვი ოღონდ...

კლარა - არა... დამიგდე ყური. *(პაუზა)* ალექსი შენგან არ მყავს.

პაუზა.

როსტომი - როგორ *ჩემგან არ გყავს?*

კლარა - ჰო, როგორღაც ასე გამოვიდა. რიგაში დავფეხმძიმდი. სემინარზე გავიცანი...

როსტომი - ანა?

კლარა - რა *ანა?*

როსტომი - ანა ვისია?

კლარა - ანა შენია. ალექსი და ლელაა სხვისი.

როსტომი - ლელაც?

კლარა - კი.

როსტომი - ბოდავ, კლარა.

კლარა - არა.

როსტომი - კი, ბოდავ. მე კიდევ, იდიოტი, სერიოზულად გისმენ. მოსვი ეს...

კლარა - არ ვბოდავ.მთელი ცხოვრება გღალატობდი.

როსტომი - გააღე პირი...

კლარა - არ მინდა...

როსტომი - დღეს ბოლოა. მეტს აღარ დალევ.

კლარა - მთელი ცხოვრება ვბოზობდი, როსტომ...

როსტომი - ლელას ჩემი თეძოები აქვს. არ მჯერა.

კლარა - შეგიძლია, ანალიზი გაიკეთო...

როსტომი - არ მაინტერესებს. კლარა, დალიე, ხელი დამეღალა...

კლარა - ალექსი ქერაა, შენ...

როსტომი -რა გინდა, თავი მოვიკლა ამ სიბერეში? გააღე პირი...

კლარა *(ტირის)* - მაპატიე, როსტომ... შხამს უნდა მასმევდე და არა ამას...

როსტომი - რა უტვინო ქალი ხარ.ერთადერთი, ვინც შენს გვერდზეა, მე ვარ და ისიც წყობიდან გამოგყავს.

კლარა *(ტირის)* - ჩვარი ხარ, კაცი კი არა...

როსტომი - რა გინდა, დაგახრჩო?

კლარა *(ტირის)* - შემაფურთხე მაინც...

როსტომი - პროტეზი გადმომივარდება.

კლარა - მეზიზღები...

როსტომი - გააღე პირი ავყვირდები, იცოდე! *(პაუზა)* აი, ასე. ყოჩაღ. *(პაუზა)* ნუ იჭყანები. მე უარესებს ვსვამ.

21.

დირექტორთან

დეპარტამენტის უფროსი, დირექტორი

დირექტორი - ემზარ, ამიხსენით, რა მოხდა ზუგდიდთან?

დეპარტამენტის უფროსი - დეტალები ჯერჯერობით არ არის ცნობილი.

დირექტორი - ჰქონდა თუ არა ადგილი ინციდენტს?

დეპარტამენტის უფროსი - დიახ. როგორც ჩანს.

დირექტორი - დააკონკრეტეთ.

დეპარტამენტის უფროსი - როსტომს... მეთხუთმეტე სართულიდან... ფიზიკურად შეეხნენ.

დირექტორი - ვინ?

დეპარტამენტის უფროსი - მშენებლები. გვარები არ ვიცი.

დირექტორი - რუსები ხომ არა?

დეპარტამენტის უფროსი - რუსები იქ არც არიან.

დირექტორი - ეს კარგია. სახეში გაარტყეს?

დეპარტამენტის უფროსი - ვერ გეტყვით.

დირექტორი - თავად მას ესაუბრეთ?

დეპარტამენტის უფროსი - დიახ, უკან მოდის. უკვე მანქანაში იჯდა.

დირექტორი - ხომ არ ტიროდა, ან რამე ასეთი?

დეპარტამენტის უფროსი - არა, ვერ შევატყე.

დირექტორი - საერთოდ, ისტერიულია?

დეპარტამენტის უფროსი - არ ჰგავს ისტერიულ ტიპს.

დირექტორი - რაკი მანქანის მართვა შეუძლია, ესე იგი, სერიოზული არაფერია.

დეპარტამენტის უფროსი - ალბათ, ასეა.

დირექტორი - რამ გამოიწვია ეს ინციდენტი?

დეპარტამენტის უფროსი - ვერ გეტყვით.

დირექტორი - ემზარ, არაფერი არ იცით. ეს აღმაშფოთებელია, სხვა თუ არაფერი.

დეპარტამენტის უფროსი - უკაცრავად.

22.

ისევ გზაში

ნავიგატორი, როსტომი

როსტომი *(გაბრაზებულია)* - ჩემი შენიშვნები არ ესიამოვნათ ბიჭებს! როცა მივედი, სვამდნენ! კაფელზე უკვე ბზარებია გაჩენილი... მე პროექტი არ მინახავს, მაგრამ რაც ვნახე, პირდაპირ გეტყვი, სიმახინჯეა...

ნავიგატორი - ოც მეტრში გადასახვევი მარჯვნივ.

როსტომი - არ მისმენ?

ნავიგატორი - შეუხვიეთ.

როსტომი - როგორც ჩანს, არ გაინტერესებს, რა შემემთხვა.

ნავიგატორი - არ ვიმუშავო?

როსტომი *(გაბრაზებული)* - ხელი გამარტყეს! *(პაუზა)* მე ჩავედი, როგორც *შემფუცხუნებელი.* სწორედ ეს სიტყვები მითხრა ჩემმა დეპარტამენტის უფროსმა.

ნავიგატორი - ზედმეტი მოგივიდათ. ყვიროდით.

როსტომი - მე ჩემი ფუნქციის შესაბამისად ვმოქმედებდი. მითხეს, უნდა იომოო და მეც ვიომე. შესრულებულ სამუშაოში ყველაზე დაბალი ქულა მივანიჭე და ამაზე გაცოფდნენ... მაგრამ რას ვიფიქრებდი, რომ ხელს შემომიბრუნებდნენ!

ნავიგატორი - ტონი არ მოეწონათ.

როსტომი - უკაცრავად, პირველმა ვინ იუხეშა? მე თუ მათ?

ნავიგატორი - თქვენ.

როსტომი - მე შენიშვნებს გამოვთქვამდი. მერე ვიღაც გამომექაჩა... გაუგონარი რაღაც მოხდა. მუშები თუ ასეთ რამეს გაბედავდნენ, არ მეგონა! არც მახსოვს, ვინ დამარტყა კონკრეტულად... ეტყობა, არ იცოდნენ, დეპარტამენტის წარმომადგენელი რომ ვარ...

ნავიგატორი - ვერ აღგიქვამენ დეპარტამენტის წარმომადგენლად.

როსტომი - კლარა კაცად ვერ აღმიქვამს, მუშები დეპარტამენტის წარმომადგენლად... მგონი, დროა, ჩემს გარშემო მყოფებმაც დაინახონ, რომ მეც მაქვს ხასიათი! შენც, იმის მაგივრად რომ რამე გაქნა, იქით მაძლევ შენიშვნებს...

ნავიგატორი - უკაცრავად, მე რა შემეძლო?

როსტომი - გეყვირა მაინც. განგაში აგეტეხა. არ მითხრა ახლა, რომ ხმა ჩაგივარდა ნერვიულობისგან.

პაუზა.

ნავიგატორი *(ხმადაბლა)* - იქნებ ასეც იყო.

23.

ლიფტთან

დირექტორი, დეპარტამენტის უფროსი, როსტომი

როსტომი - მე ასე ვუყურებ ამ საკითხს: შეურაცხყოფა არა მე, არამედ კომპანიას მიაყენეს. ვინაიდან იმწუთას მე კომპანიას წარმოვადგენდი და არა ჩემს თავს. ვიღაც ვიგინდარა მთელ ჩვენს დეპარტამენტს შეეხო სახეზე.

დირექტორი - როგორც ვხედავ, არ დაზიანებულხართ.

დეპარტამენტის უფროსი - როსტომ, ბოდიშს ვიხდი, მაგრამ ჩვენ სხვანაირი ხმები მოგვივიდა: ითქვა, რომ გამომწვევად იქცეოდი, ყვიროდი და შეურაცხყოფას აყენებდი მშენებლებს.

როსტომი - რა სისულელეა!

დეპარტამენტის უფროსი - ითქვა, რომ შენ უზრდელურად მიმართავდი მუშებს. ზიზღით გველაპარაკებოდაო.

დირექტორი - როსტომ, თქვენ სნობი ხართ?

როსტომი - არ მახოვს, მეყვირა. არ უარვყოფ, შესაძლოა, მეტისმეტად მკაცრად ვიძლეოდი შენიშვნებს, მაგრამ განა თქვენ თვითონ არ მითხარით, იომეო?

ადმინისტრაციის უფროსი - დებოში მოაწყეო, შენთვის არავის უთქვამს.

დირექტორი - მე არ მაინტერესებს, ვინ დაიწყო ჩხუბი, მე მაინტერესებს, რამდენად კარგად შეასრულეთ ჩემი დავალება.

როსტომი - თქვენ იქ სწორედ შენიშვნების სათქმელად გამაგზავნეთ, ბატონო ოთარ.

დირექტორი - და არა მუშტების საქნევად!

როსტომი - სად მოძებნეთ ასეთი თავხედი მუშები? ამიტომაც ვერ ვიტან ქართველ მშენებლებს. ყველა პრეზიდენტობაზე ოცნებობს.

დირექტორი - ვხედავ, აშკარად წინასწარი განწყობით იყავით ჩასული.

დეპარტამენტის უფროსი - ასეც რამ გაგაღიზიანა? მოსაწონი არაფერი დაგხვდა?

როსტომი *(მცირე პაუზის შემდეგ)* - ფაქტობრივად არაფერი. ვშიშობ, არც იდეა მომეწონა და არც შესრულება. ოდესმე მეც ხომ უნდა გამოვთქვა ჩემი აზრი. ორმოცდაოთხი წლის კაცი ვარ.

დეპარტამენტის უფროსი - როსტომ, ბოდიში, მაგრამ ვერ გცნობ.

როსტომი *(შეშფოთებით)* - სახეზე მჭირს რამე?

24.

მამასთან

მამა, როსტომი

მამა - შეგეძლო პირდაპირ დაკრძალვაზე მოსულიყავი. ათი დღეა არ გამოჩენილხარ.

როსტომი - საქმეები მქონდა.

მამა *(ჩაიქირქილებს)* -საქმეები, კი... შეგეზარა, პირდაპირ მითხარი.

როსტომი - დაგერეკა.

მამა - რატომ უნდა დამერეკა? არ გინდა და ნუ გინდა. სულ იმის მეშინოდა, სხვების სათრევი არ გავმხდარიყავი სიბერეში და მაინცდამაინც ასე დამემართა. არა უშავს, წინ გაქვს ყველაფერი.

როსტომი - საიდან ამდენი ამბიცია ერთ არარეალიზებულ, უნიჭო, სულელ და სუსტ კაცს?

მამა *(იბნევა)* - ვის?

როსტომი - დიახ, შენ! ისე ლაპარაკობ, გეგონება, რამეს წარმოადგენდე. რა ტონია ეს? ერთი უიღბლო, უფული და უსაქმური ქუჩის ბიჭი ხარ... ბებერი კაცის ტანით. ვინ მოგცა იმის უფლება, რომ ასე თავხედურად ელაპარაკო ადამიანებს?

მამა *(აღელვებისგან ხმა აუკანკალდება)* -მე მეუბნები ამას?

როსტომი - არა, ჩემ თავს ვეუბნები. შენ, აბა, ვის! დედა მაზოხისტი უნდა ყოფილიყო, შენთან რომ გაჩერებულიყო... ბევრად ადრე უნდა დაედგა შენთვის რქები...

მამა - ჩემი გაზრდილი ხარ, შე ნაბიჭვარო... როგორ მელაპარაკები?

როსტომი - ვინ ვის ზრდიდა, ეგ კიდევ გასარკვევია. ცამეტი წლიდან გზრდი. ღამე არ მაძინებდით შენ და შენი იდიოტი ძმაკაცები, დალევის მეტს არაფერს შვრებოდით, დილაობით მე ვრეცხავდი თქვენს თეფშებს. შენი ცოლიც მე ვიყავი, დედაც და მამაც. ვის ახსოვდა, რომ ბავშვი ვარ.

მამა - გაეთრიე აქედან...

როსტომი - ახლა ნუ მოკვდები, ძალიან გთხოვ.სამსახურში პრობლემები მაქვს.

25.

კლარასთან

კლარა, როსტომი

როსტომი - კლარა, უკაცრავად. შეიძლება, შემოვიდე?

კლარა - მობრძანდი, როსტომ.

როსტომი - მადლობა. ბევრ დროს არ წაგართმევ.

კლარა - როგორ ხარ? რატომ დაივიწყე მეთერთმეტე სართული?

როსტომი - მე არ დამვიწყებია. დამავიწყეს.

კლარა - ჩემ გამო აღარ ამოდიხარ?

როსტომი - აკრძალვა შენგან მოდიოდა.

კლარა - როსტომ, მე არ მითქვამს უარი შენთან მეგობრობაზე, მე შენგან წამოსულ სხვაგვარ ინიციატივას დავუსვი წერტილი. *(ღიზიანდება)* არ მინდა ამაზე ლაპარაკი. მომიყევი, რა ხდება მეთხუთმეტეზე.

როსტომი - მამაჩემი ამბობს, რომ სრულიად შეუძლებელია ქალისა და კაცის მეგობრობა.

კლარა - ჩვენი მშობლები სხვა დროს აღიზარდნენ.

როსტომი - წინაპრებზე სალაპარაკოდ არ მოვსულვარ.

კლარა - რამე კონკრეტული საქმე გაქვს?

როსტომი - მე შეურაცხყოფილი ვარ – როგორც არარაობას, ისე მომექეცი.

კლარა - ხომ შევთანხმდით, რომ აღარ მივუბრუნდებოდით ამ თემას?

როსტომი - რატომ მპატიჟებდი ყავაზე, როცა თავად აკრბასთან გქონდა რომანი? რა იცი, რა გეგმებს ვაწყობდი ჩემს თავში, რა შინაგან ბრძოლებს ვაწარმოებდი საკუთარ თავთან... ისეთი განცდა მაქვს, თითქოს ყველა მე დამცინის.

კლარა - ვისთან მქონდა რომანი?

როსტომი - თავს ნუ იკატუნებ. მეც მყავს ჩემი ინფორმატორები. ბავშვს მაინც ნუ მოკლავთ. ცოლს კი ერიდე. მთასავით ქალია, ძვლებიანად შეგჭამს.

26.

მანქანაში

ნავიგატორი, როსტომი

როსტომი - არც მენატრება და არც მომწონს. უბრალოდ, მინდოდა, მასაც შეურაცხყოფილად ეგრძნო თავი. ხურდა დავუბრუნე. ვიცი, ცუდად მოვიქეცი, მაგრამ მაშინ მართლა ძალიან მატკინა გული. შენ, ასე თუ ისე, მაინც ქალი ხარ და ვერ მიხვდები, რას განიცდის მამაკაცი, როცა ელემენტარული პრანჭვის უფლებასაც კი არ უტოვებენ. *(პროდორებს კლარას)* "არ მომწონს ეს ერთობლივი ყავის სმები". კინაღამ ჰომოსექსუალად მაქცია ამ ფრაზამ! ზოგადად ქალი შემაძულა. ქალებს ჩემს თვალში მხოლოდ შენ შეუნარჩუნე ავტორიტეტი. ამას პირდაპირ გეუბნები.

ნავიგატორი - ოც მეტრში შესახვევი მარცხნივ.

როსტომი - მადლობა.

ნავიგატორი - შეუხვიეთ.

როსტომი *(მორჩილად)* - კი. *(პაუზა)* უნდა გენახა, როგორ მიყურებდნენ მეთერთმეტე სართულზე. არ გამოვრიცხავ, მეთხუთმერე სართულიდანაც უნდოდეთ ჩემი მოშორება. შესაძლოა, ამიტომაც გამამწესეს რეგიონებში. ოფისში მხოლოდ მონები ჭირდებათ. თავისუფალ ადამიანებს ვერავინ იტანს.

ნავიგატორი - არა უშავს. ახლა მიხვდებიან, ვინც ხართ და რასაც წარმოადგენთ.

როსტომი - ნუ მიხვდებიან, ამ ჩემ ფეხებს! მთავარია, მე ვიყო კმაყოფილი. ისე, როგორც რამდენიმე დღის წინ ველაპარაკე მამაჩემს, ჯერ კიდევ ცამეტი-თოთხმეტი წლის ასაკში

უნდა დავლაპარაკებოდი. კაცი დადგებოდა მისგან. მაგრამ მაშინ ნავიგატორები არ არსებობდნენ – გზას არავინ მიჩვენებდა. *(იცინის – პაუზა)* ეს კომპლიმენტია.

ნავიგატორი - ოც მეტრში შესახვევი მარცხნივ.

როსტომი - ...არაფრის.

ნავიგატორი - შეუხვიეთ.

როსტომი - დიდი სიამოვნებით მოვისმენდი იმ მუშის ავადმყოფობის ან, ჰა, ბარემ სიკვდილის ამბავს, რომელმაც ხელი გამარტყა. შეგვიძლია?

ნავიგატორი - შეგვიძლია.

როსტომი - აბა, გისმენ.

27.

თათბირი

დირექტორი, ადმინისტრაციის უფროსი, ბ-ნი აკრბა, ჯაყელი, კლარა

დირექტორი - და ბოლოს. არაოფიციალური კომენტარის სახით: რა სჭირს როსტომს? გუშინ ლიფტში შემეფეთა და საკმაოდ გაღიზიანებული ჩანდა. ამას ყურადღებას არ მივაქცევდი, ემზარსაც იგივე რომ არ ეთქვა ჩემთვის.

დეპარტამენტის უფროსი - საოცრად შეცვლილია...

კლარა - ბოდიშს ვიხდი, საუბარში რომ ვერევი, მაგრამ უნდა ვთქვა: ჩემი აზრით, საკმაოდ აგრესიულია...

დირექტორი - ვიცი, კლარა. მითხრეს, რომ თქვენს ოთახში იყო და დასაშვებზე ხმამაღლა გელაპარაკებოდათ.

ადმინისტრაციის უფროსი - ზოგადადაც ხმამაღლა ლაპარაკს დაეჩვია ეს კაცი...

კლარა - დიახ, შემეშინდა კიდეც. უტაქტობა გამოიჩინა. საშინელებები მითხრა...

დირექტორი - რას გითხრათ?

კლარა - მიჭირს გამეორება...

დირექტორი - კლარა, ჩვენ არ ვჭორაობთ, ჩვენ ვსაუბრობთ. ეს პრონციპულად სხვა და სხვა რამეა.

ადმინისტრაციის უფროსი - კლარა, რა გითხრა?

კლარა - მითხრა, რომ მე და ბატონ აკრბას რომანი გვაქვს; და რომ შვილს ველოდები მისგან.

აკრბა *(გაოცებული)* - ჩემგან? შვილს?

კლარა - დიახ, უკაცრავად... *(იცინის)*

დეპარტამენტის უფროსი - დეგენარატი...

დირექტორი - არ მესმის, რისი თქმა უნდოდა ამით? საერთოდ რატომ წამოიჭრა ეს თემა?

კლარა *(დაბნეულია)* - თქვენ გვკითხეთ, როსტომს რა სჭირსო.

დირექტორი - არა, ამაზე არ ვამბობ, თქვენსა და როსტომს შორის რატომ შედგა ასეთი საუბარი, ეს მაინტერესებს.

კლარა - არ ვიცი.

ადმინისტრაციის უფროსი - კლარა მოწონს. ასე არ არის?

ჯაყელი - კი.

დირექტორი - და ამ ფორმით გამოხატავს მის მიმართ სიმპათიას?

კლარა *(მსუბუქი ირონიით)* - ეწყინა, გრძნობებზე რომ ვერ ვუპასუხე.

ჯაყელი *(ნაწყენია)* - შეურახყოფას ნუ მივაყენებთ, ძალიან გთხოვთ.

კლარა - და რა ვთქვი შეურაცხყმყოფელი?

დირექტორი - ზუგდიდის ინციდენტმა ხომ არ იმოქმედა მასზე?

ჯაყელი - არ არის გამორიცხული.

დირექტორი - საერთოდ, როგორ იცნობთ, მყიფე ფსიქიკა აქვს?

ჯაყელი - ჩვენ ერთ სკოლაში ვსწავლობდით. ერთხელ უფროსკლასელებმა ცემეს და მთელი სემესტრი გააცდინა. სკოლიდან აგდებდნენ.

დირექტორი - მაჩხუბარა ბავშვი იყო?

ჯაყელი - არა, პირიქით. ხშირად ტიროდა ხოლმე.

აკრბა - ბოდიშს ვიხდი, მაგრამ არ მაინტერესებს როსტომის ამბები, შეიძლება კაბინეტში დავბრუნდე?

დირექტორი - კი, ცხადია. ვასრულებთ. *(პაუზა)* როსტომს მანქანა ჩამოართვით - არ დააზიანოს. თუკი კვლავაც გამოხატავს გაღიზიანებას ვინმეს მიმართ, მკაცრ გაფრთხილებას მიიღებს, ხოლო თუკი ჭკუას არ ისწავლის, სხვა სამსახურის მოძებნა მოუწევს. ისეთის, სადაც გაღიზიანებულ ადამიანებს აიტანენ. უკაცრავად, მაგრამ ფსიქოთერაპიის სახლში არ ვმუშაობ.

28.

მეგობართან

ჯაყელი, როსტომი

როსტომი - არ დავთმობ ამ მანქანას. მთელი ერთი თვე ვეჩვეოდი და ახლა, როცა ძლივს შევეჩვიე, მართმევენ? გამაგდონ, კი ბატონო, კრედიტს ავიღებ და მანქანას ჩემი

ხელფასით გამოვისყიდი. ღმერთო ჩემო, მანქანაშიც არ არის საქმე! რეალურად მანქანა სულ არ მჭირდება...

ჯაყელი - როსტომ, რა გემართება? მთელი თათბირი შენზე ჭორაობდნენ...

როსტომი - ძალიან კარგი! მერე და, რა არის ამაში ცუდი? ბოლოს და ბოლოს, ჩემზეც ხომ უნდა ალაპარაკებულიყვნენ მეთერთმეტე სართულზე! მე მაინტერესებს, ვინ დასვა მანქანის წართმევის საკითხი? მინდა, ვიცოდე, ვინ მყავს ლიფტში გასაჭედი.

ჯაყელი - კლარა...

როსტომი - კლარამ მიოთხოვა?

ჯაყელი - არა, მომისმინე. რეები გითქვამს კლარასთვის? გოგო მთელი თათბირი ტიროდა.

როსტომი - მევ ვტიროდი, არა უშავს. რა ატირებდა?

ჯაყელი - ის, რაც მე მითხარი, კლარასთვისაც გითქვამს...

როსტომი - არა. შენდამი სხვაგვარი დამოკიდებულება მაქვს.

ჯაყელი - სხვა რამეს ვამბობ; რომ მას და აკრბას რომანი აქვთ.

როსტომი - დიახ, ვამხილე და ვამაყობ ამით.

ჯაყელი - ტყემალზე მჯდარხარ, სინამდვილეში, კლარა ჩვენი დეპარტამენტის უფროსზეა დანიშნული.

როსტომი - რა? რა სისულელეა!

ჯაყელი - ძმის სულს ვფიცავარ, ემზარმა თვითონ მითხრა თათბირის მერე.

როსტომი - ბოდიშს ვიხდი შენი ძმის სულის წინაშე, მაგრამ რა გამოდის: ეს კლარა კლასიკური ბოზი ყოფილა – ერთი მხრივ, ემზარს მიჰყვება ცოლად, მეორე მხრივ კი აკრბას შვილზეა ფეხმძიმედ. კორპორატიულ ზეწოლასთან გვქონია საქმე – ემზარს დაძალებით რთავენ ცოლად მისი უშუალო უფროსისგან დაფეხმძიმებულ ქალს...

ჯაყელი - მაპატიე, მაგრამ უკვე ბოდავ. აკრბა აბსოლუტურად სხვა დეპარტამენტს კურირებს. კლარა რომ შეყვარებულია, ეს სახეზე აწერია.

როსტომი - არა უშავს, მეც მყავს შეყვარებული. არ დავიჩაგრები. *(იცინის)*

ჯაყელი - არაადეკვატური ხარ და შეიძლება სამსახური დაკარგო ამის გამო. ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, თითქოს ვიღაც გირევს ჭკუას.

როსტომი - რა უფლებით მაყენებ შეურაცხყოფას? იქნებ გგონია, რომ ჩემს მეგობრად გთვლი? შედარებით ახლობელი თანამშრომელი ხარ, ესაა და ეს.

ჯაყელი - კაცადაც არ ვარგიხარ. როგორ გიცავდი, როცა მართლა გაყენებდნენ შეურაცხყოფას.

როსტომი - შენც არაკაცი ხარ.

ჯაყელი - გაგარტყამდი, ხალხი რომ არ გვიყურებდეს.

როსტომი - გამარტყი, მე არ მრცხვენია.

ჯაყელი - რომ გაგარტყა, ორჯერ მეტი წამლის ყიდვა მომიწევს.

როსტომი - ყველაფერთან ერთად ძუნწიც ყოფილხარ. მრცხვენია, რომ გიცნობ.

29.

ნავიგატორის აღიარება

ნავიგატორი, როსტომი

როსტომი - არასდროს მყვარებია მანქანით სიარული. ოდითგანვე ფეხით მავალთა კატეგორიას განვეკუთვნებოდი. სრულიად უმიზნოდ დავატარებ მანქანას. ძალიან მართობ.

ნავიგატორი - ოც მეტრში ბრუნი წრეზე.

როსტომი - იმედია, ხვდები, ტყუილად გაძლევ ორიენტირებს; მხოლოდ იმ მიზეზით, რომ შენი ხმა გავიგონო.

ნავიგატორი - შეუხვიეთ.

როსტომი - სიამოვნებით. *(პაუზა)* სადაც დამავალებ, იქით წავალ. *(იცინის - პაუზა)* გახსოვს, როგორ გეჩხუბებოდი თავიდან? ეს დრო წარსულს ჩაბარდა.

ნავიგატორი - შეუხვიეთ მარჯვნივ.

როსტომი - ახლავე. *(პაუზა)* ახლა რომ ვფიქრობ, რეალურად შენს მეტი არავინ მყავს. *(მსუბუქი ირონიით)* არა მგონია, შენზე უკეთ მიცნობდეს ვინმე. შენ უნდა დამიტირო.

ნავიგატორი - შეუხვიეთ.

როსტომი - ეს დეგენერატები მანქანის დაბრუნებას მთხოვენ. წაიყვანონ, ფეხებზე მკიდია! შენ მაინც არ დაგთმობ.

ნავიგატორი - ისევ კაბინეტში გაბრუნებენ?

როსტომი - როგორც ჩანს. ფიქრობენ, რომ ოფისში ნაკლებ პრინციპულობას გამოვიჩენ. მშენებლობებზე მონებს გაუშვებენ.

ნავიგატორი - ახლა მეუბნებით ამას?

როსტომი - რას?

ნავიგატორი - ათ მეტრში ბრუნი წრეზე.

როსტომი - მე თვითონაც დღეს დილით მითხრეს.

ნავიგატორი - შეუხვიეთ.

როსტომი - გეფიცები.

ნავიგატორი - რა აპირებთ?

როსტომი - ხომ გითხარი: შევეცდები, მანქანაში ჩამტოვონ. უკვე ნარკომანივით ვარ - შენ ხმას თუ ვერ ვიგებ, დეპრესიაში ვვარდები. *(პაუზა)* გუშინ დიდი ამბები მომხდარა

თათბირზე – ჩემზე უჭორავიათ. მერე ჯაყელს ვეჩხუბე, ჭკუის დარიგება დამიწყო მაგ ერთუჯრედიანმა. ყველაზე აღმაშფოთებელი კი ისაა, რომ როგორც გიჟს, ისე მექცევა, ანუ მინანიშნებს, რომ ავადმყოფური ფანტაზიები მაქვს; კლარა, თურმე, ჩვენი დეპარტამენტის უფროსს მიჰყვება ცოლად, მე კი ვირტუალურ რომანებს ვუგონებ. ვერ ვხვდები, რა თამაშს თამაშობს.

ნავიგატორი - ის არ ცრუობს, როსტომ.

როსტომი - ვერ გავიგე?

ნავიგატორი - კლარას ფეხმძიმობის ამბავი ჩემი მოგონილია. მე მოგატყუეთ.

როსტომი - არ ჰქონია აკრბასთან რომანი?

ნავიგატორი - არა.

როსტომი - დამაბნიეთ. და რა გარანტია მაქვს, რომ ახლაც არ მატყუებ? ან ჯაყელმა არ მომატყუა?

ნავიგატორი - არ მინდოდა, რომ ის ქალი გყვარებოდათ და ცილი დავწამე.

როსტომი - ჰო, მაგრამ ბარემ ჩვენი დეპარტამენტის უფროსზე გეთქვა? აკბრა რა შუაშია იყო?

ნავიგატორი - ჩავთვალე, რომ მას ამორალურ არსებად მიიჩნევდი, რაკი ხნიერ, დაოჯახებულ და მდიდარ ადამიანთან ექნებოდა რომანი გაბმული. ვიფიქრე, არ აპატიებდით ნაადრევ სოციალურ კომპრომისს და როგორც ხედავთ, არ შევცდი: თქვენ ის შეგძულდათ. თქვენ ხომ მორალისტი ხარ.

როსტომი - დამცინი?

ნავიგატორი - დამიჯერე, ბევრთან მიმუშავია. თქვენ არავის ჰგავხარ.

როსტომი - კი მაგრამ, რატომ გააკეთე ეს? შენ ყოველთვის სწორ და მართებულ გზას მაჩვენებდი, ბრმასავით გენდობოდი, არ მეგონა, თუკი ნავიგატორსაც შეეძლო ტყუილების თქმა.

ნივაგატორი -ტყუილები არ მჩვევია. ამჯერად სხვანაირად არ შემეძლო.

როსტომი - რატომ?

ნავიგატორი - ვერ ხვდებით?

როსტომი - მაპატიე, მაგრამ ვერ ვხვდები.

პაუზა.

ნავიგატორი - იმიტომ რომ... ვიეჭვიანე. ეჭვიანობას კი მაშინ იწყებენ, როცა შეყვარებულები არიან.ნუთუ ასეთი ძნელი მისახვედრია, რომ თავი შემაყვარეთ.

როსტომი ამუხრუჭებს.

ძრავას ნუ გამორთავ, თორემ ვეღარ ვისაუბრებთ.

30.

მეთერთმეტე სართულის დერეფანში

კლარა, დეპარტამენტის უფროსი, კლარა

როსტომი - მეჩვენება თუ მომავალ ცოლ-ქმარს ვხედავ?

ადმინისტრაციის უფროსი *(ხმადაბლა)* - არ მიაქციო ყურადღება.

როსტომი - არ მესალმებით?

კლარა - როსტომ, ხომ ვერ მეტყვი, კიდევ რა გეჩვენება?

ადმინისტრაციის უფროსი - ნუ აქცევ ყურადღებას. წამოდი.

როსტომი - უმჯობესია, შენ თვითონ მითხრა, რა მეჩვენებოდა.

კლარა - ჩემზე უკეთ მოგეხსენება, რაც. ყველაფერი.

ადმინისტრაციის უფროსი *(მოუსვენრად)* - კლარა, გამოადგი ნაბიჯი.

კლარა - წესით, სილას უნდა გაწნავდე შენი თავხედური ფანტაზიების გამო. შვილად გეკუთვნი, უნდა წითლდებოდე ჩემს დანახვაზე.

როსტომი - ვწითლდებოდი. მართალია. მაგრამ ახლა – აღარ. ვერ დავიჯერებ, რომ არ მოგწონდი.

ადმინისტრაციის უფროსი - კლარა, რა გინდა, ვეჩხუბო? გელოდები.

კლარა - როსტომ, რა საწყალი ხარ...

როსტომ - ემზარ, თავს ბედნიერ ადამიანად თვლი?

ადმინისტრაციის უფროსი *(საქმიანად)* - კი, უზომოდ ბედნიერი ვარ. თავს მშვენივრად ვგრძნობ. კლარა...

როსტომ - სხვათა შორის, უხდებით ერთმანეთს.

ადმინისტრაციის უფროსი - ნუ ცდილობ, შეურაცხყოფა მოგვაყენო.

კლარა - ეზმარ, ნუ ელაპარაკები. წამოდი.

როსტომი - გულწრფელად ვამბობ.

ადმინისტრაციის უფროსი - შეცდომას შეცდომაზე უშვებ.

კლარა - ეზმარ, ნუ აქცევ ყურადღებას. ჩემი ბრალია, არ უნდა მომეჩვია. ტკიპასავითაა.

როსტომი *(ბრაზდება)* - მე ვარ ტკიპასავით? შენ არ უნდა *მოგეჩვიე* მე? შენ ჩემთვის არ არსებობ, კლარა! მოჩვენება ხარ. ახლა გამოვივლი და გადაგთელავ. როგორც ტრაქტორი, ისე გადაგივლი. ხომ შეიძლება, რომ ერთხელ შენც გეტკინოს...

ადმინისტრაციის უფროსი *(დაფეთებული)* - კლარა, გამოიწიე!

კლარა შეჰკივლებს.

31.

ლიფტთან

დირექტორი, როსტომი (შემდეგ ჯაყელი)

როსტომი - ბატონო ოთარ, არ ვიცი, თქვენი დავალებით თუ სხვების ინიციატივით, მაგრამ მანქანის დაბრუნებას მთხოვენ. ერთი თვეა, ახალ რეალობასთან შეგუებას ვცდილობ და ახლა, როცა შევეჩვიე, უკან, ოფისში მიპირებენ გადაყვანას. მე გეკითხებით: სათამაშო გგონივართ, ბატონო ოთარ? მერამდენედ უნდა გავიარო ადაპტაცია? უმორჩილესად გთხოვთ, დამტოვოთ შეგუებულ ადგილზე. ისედაც საკმარისად დამაზარალა ზუგდიდის ინციდენტმა.

დირექტორი *(მკაცრად)* - გაიღიმეთ, როსტომ. ნუ იბღვირებით. ცხოვრებაში უამრავი რამ ხდება, რაც ჩვენს გაღიზიანებას იწვევს, მაგრამ ცუდ ხასიათს, ავ ზრახვებსა და თავხედურ გამოხტომებს სახლში ვტოვებთ და სამსახურში ტაქტიანად და პატივისცემით ვექცევით თანამშრომლებს. თქვენ კი პირდაპირ აფრქვევთ ისტერიულობას!

როსტომი - ეს თქვენ ხართ ისტერიული და არა მე.

დირექტორი - როსტომ, ყურადღებით იყავით. ისე ნუ მოიქცევით, რომ თქვენ ორიდან მხოლოდ მანქანა დარჩეს ჩვენს კოლეგად.

როსტომი - ჩემით, როგორც მუშაკით, უკმაყოფილო ხართ?

დირექტორი - ჩემს ადგილზე კმაყოფილი იქნებოდით?

როსტომი - ჩემით არა, საკუთარი თავით – კი.

დირექტორი - შეურაცხყოფას მაყენებთ?

როსტომი - თქვენ დაიწყეთ.

დირექტორი - მამად გეკუთვნით.

როსტომი - ამიტომაც გამჭორეთ თათბირზე?

დირექტორი - სიტყვები შეარჩიეთ, როსტომ.

როსტომი - თქვენს ადგილას განცხადებას დავწერდი წასვლაზე. დირექტორი, რომელიც თანამშრომლებზე ჭორაობს, არ იმსახურებს ხელმძღვანელის პოსტს.

სილის გაწნა.

დირექტორი - უზრდელო.

სილის გაწნა. დირექტორი აყვირდება.

ჯაყელი *(მორბის)* - როსტომ! რას აკეთებ!

როსტომი - ეგონა, ხელის შებრუნებას ვერ გავბედავდი...

დირექტორი *(ყვირის)* - გაეთრიე აქედან!

ხალხი გროვდება. რუზრუზია.

როსტომი *(ზიზღნარევი ირონიით)* - აჰ, თურმე, გაღიზიანებული ხალხი არ სიამოვნებს ოფისში...

ჯაყელი - წამოდი... ნუ ჯიუტობ...

დირექტორი - შე ნაძირალა... შე ნაძირალა...

33.

ჯაყელის ოთახში

ჯაყელი, როსტომი

როსტომი - ვერ ვიტან, როცა უდიერად მელაპარაკებიან... და საერთოდ, ამ ტონს ვერ ვიტან, უმცროს-უფროსულს...

ჯაყელი - დალიე, თორემ გაცივდება.

როსტომი - ბოდიშს გიხდი იმ საუბრის გამო. ღამე გავათენე შენზე ფიქრში. მოგატყუე, როცა გითხარი, მხოლოდ ჩემი თანამშრომელი ხარ-მეთქი, რეალურად აქ მარტო შენ გთვლი ჩემს მეგობრად.

ჯაყელი - ძმის სულს ვფიცავარ, თუ მახსოვდეს, რას მეუბნებოდი. ხვალ ოთარისთვისაც მოგიწევს ბოდიშის მოხდა.

როსტომი - არავითარ შემთხვევაში. შენ სხვა ხარ, ის სხვა.

ჯაყელი - რა გინდა, უსამსახუროდ დარჩე?

როსტომი - ეგ არ მაღელვებს.

ჯაყელი - აბა, რა გაღელვებს?

როსტომი - გითხრა, სინამდვილეში, რა მაღელვებს?

ჯაყელი - კლარა?

როსტომი - არა. კლარა წარსულია.

ჯაყელი - აბა, რა?

პაუზა.

როსტომი - დამცინებ.

ჯაყელი - ძმის სულს ვფიცავარ, თუ დაგცინო...

როსტომი - შემიძლია, გენდო?

ჯაყელი - როსტომ, უკვე აღარ ვიცი, რა დავაფიცო...

პაუზა.

როსტომი – კარგი. *(პაუზა)* ნავიგატორი.

ჯაყელი - რა?

როსტომი - ჩემი მანქანის ნავიგატორი.

ჯაყელი - ვერ გავიგე...

როსტომი - ნავიგატორზე ვნერვიულობ.

ჯაყელი - მაშაყირებ?

როსტომი - მომისმინე. ადრე შენ თვითონ მეხუმრებოდი ამ თემაზე, მაგრამ ახლა არაა ასე. ვიცი, ის მიზეზი, თუ რატომაც არ მინდა ნავიგატორის გარეშე დარჩენა, არანორმალური და გამაღიზიანებელია, მაგრამ მიუხედავად ამისა, მომკალი და არ ვთვლი თავს გიჟად.შემომხედე და მიპასუხე: არის თუ არა რაიმე დეტალი ჩემს ტანსაცმელში ავადმყოფური?

ჯაყელი - როსტომ, ნუ მაშინებ.

როსტომი - მიპასუხე, ძალიან გთხოვ. *(პაუზა)* კარგად დამაკვირდი.

ჯაყელი - არ ვიცი...

როსტომი - რას ნიშნავს *არ ვიცი.* თვალში არაფერი გეჩხირება?

ჯაყელი - კი, წითელი ჰალსტუხი.

როსტომი - ეს გემოვნების პრობლემაა. სხვა არაფერი? მოგწონს ჩემი ვარცხნილობა? გასაკრეჭი ხომ არ ვარ?

ჯაყელი - რა გინდა, როსტომ?

როსტომი - მიპასუხე!

ჯაყელი *(უყვირებს)* - არა!

როსტომი - კისერზე, საფეთქელთან ან ლოყებზე ბეწვები ხომ არ მაქვს შერჩენილი? ყველაზე მეტად უყურადღებოდ პარსვის მეშინია.

ჯაყელი - ყველაზე მეტად შენი შეკითხვები მაშინებს.

როსტომი - მინდა, დაგიმტკოცო, რომ გიჟი არ ვარ.

ჯაყელი - კარგი, მჯერა. ოღონდ ვერ ვხვდები, რად გინდა ამის დამტკიცება?

როსტომი - იმიტომ რომ, ნავიგატორი მელაპარაკება.

პაუზა.

ჯაყელი - რატომ?

როსტომი - რა *რატომ?*

ჯაყელი *(დაბნეულია)* - რატომ გელაპარაკება? არა... უფრო სწორად, რას ნიშნავს *გელაპარაკება?*

როსტომი - აი, ასე, მივდივარ და მელაპარაკება. შემიძლია, გაჩვენო.

ჯაყელი *(დაფეთდება)* - არ მინდა.

როსტომი - თავიდან ჩვეულებრივად ასრულებდა თავის ფუნქციას, მერე კი უშუალო კონტაქტში შემოვიდა. ჩვენი ურთიერთობის საწყის ეტაპზე მეც დავფრთხი, მაგრამ მოგვიანებით იმდენად დავუახლოვდი, რომ ახლა ვერც წარმომიდგენია მის გარეშე ცხოვრება. *(პაუზა – ჯაყელი დუმს)* ნუ მიყურებ, როგორც ფსიქიურად შეშლილს. იცი, როგორი შეურაცხყმყოფელია?

პაუზა.

ჯაყელი - როცა ხმები ესმით, ეს ცუდია.

როსტომი - მე ეს მჭირდებოდა, გაიგე. ახლა რომ ვფიქრობ, ამ ქალის გარდა ჩემზე არც არავის უზრუნია...

ჯაყელი - ვისზე მეუბნები?

როსტომი - რა *ვისზე* – ნავიგატორზე! ქალია...

ჯაყელი - ქალი...

როსტომი - დიახ, ქალი! არ იცი, რა უზუსტეს რჩევებს მაძლევს; ფაქტობრივად ყველა პრობლემას ეგ მიგვარებს. ვერ წარმოიდგნენ, რა ხალხთან მაკამათებს... მასთან აბსოლუტურ ტრიუმფატორად ვგრძნობ თავს. ის მე კომპლექსებისგან მკურნავს. ჩემი საუკეთესო მეგობარია. ჩემი გულის მესაიდუმლე... ახლაღა ვხვდები, როგორი მარტოხელა ვყოფილვარ მის გარეშე. პლანეტის ყველაზე საინტერესო არსებაა. და ის ჩემი ცხოვრების ნაწილია, გესმის? ჩემი ცხოვრების თანამდევი... მხოლოდ მასთან მინდა კონტაქტი, სხვასთან არავისთან! ჩემი ბედნიერების ფორმულაა ეს ხმა. მეტი როგორღა აგიხსნა? როგორ ვუწოდო ამ ყველაფერს ილუზია, როცა ეს ჩემი ცხოვრებაა?

მესმის, სავარაუდოდ შოკში ჩაგაგდებ ამ სიტყვებით, მაგრამ ფაქტია: პრაქტიკულად შეყვარებული ვარ.

პაუზა.

ჯაყელი *(დათრგუნულია)* - არც კი ვიცი, რა გითხრა.

როსტომი *(მხიარულად)* - ნუ გეცოდები. ძალიან კარგად ვარ.

34.

წყვილი

ნავიგატორი, როსტომი

როსტომი - სამსახურიდან გამომაგდეს.

ნავიგატორი - რას აპირებთ?

როსტომი - მანქანას არ დავაბრუნებ.

ნავიგატორი - დაგიჭერენ.

როსტომი - სახლს გავყიდი და შენ მაინც შეგინარჩუნებ. თავს მოვიკლავ უშენოდ. მართლა

ნავიგატორი - მანქანის გარეშე ვერ ვიურთიერთებთ.

როსტომი - ვიყიდი მანქანას. ნუ გეშინია.

ნავიგატორი - ძველ მანქანაში ვერ ვიცხოვრებ. რად გინდათ მკვდარი ნავიგატორი?

როსტომი - მარტო მანქანას და შენ დაგიტოვებთ, მეტი არაფერი მჭირდება. მანქანაში დავსახლდები. ერთადერთი, არ ვიცი, მამაჩემს რა ვუყო. უკანა სავარძელზე ხომ არ გამოვუყოფ ოთახს! გაგიჭირდება მასთან შეგუება. მძიმე შემთხვევაა. თანაც დარწმუნებული ვარ, რომ მოსიყვარულე წყვილი ოჯახისგან განცალკევებით უნდა ცხოვრობდეს. არ მეთანხმები?

პაუზა.

ნავიგატორი - ცხოვრება აგირიეთ.

როსტომი - რა გინდა, საპირისპირო არგუმენტებით დაგღალო?

ნავიგატორი - არა.

პაუზა

როსტომი - არ მინდა, ვალში დაგრჩე...

ნავიგატორი - რას გულისხმობ?

როსტომი - მაშინ სხვანაირად უნდა მეპასუხა...

ნავიგატორი - როდის, შემახსენეთ.

როსტომი - როცა სიყვარულში გამომიტყდი.

ნავიგატორი - აჰ! და რა უნდა გეთქვათ?

პაუზა.

როსტომი - მეც.

ნავიგატორი - რა?

როსტომი - მიყვარხარ.

ნავიგატორი - ბავშვი ხართ...

პაუზა.

როსტომი - ნუ მელაპარაკები თქვენობით. ეს არანორმალურია.

ნავიგატორი - ჰო, გეთანხმები.

როსტომი - აი, ასე. ყოჩაღ. *(იცინის)*

როსტომი - მომიყევი შენზე.

ნავიგატორი - რა მოგიყვე? მეტისმეტად ერთფეროვანი ცხოვრება მაქვს.

როსტომი *(ჩანს, უჭირს ამის თქმა)* - ბევრი გყავდა ჩემამდე?

ნავიგატორი - ეჭვიანობ?

როსტომი - არანაირად.

პაუზა.

ნავიგატორი - რა მნიშვნელობა აქვს, რამდენი მყავდა. ახლა შენთან ვარ.

როსტომი - ბოდიშს გიხდი.

ნავიგატორი - რის გამო?

როსტომი - ამ შეკითხვისთვის...

ნავიგატორი *(თბილად)* - სულელი ხარ...

როსტომი - აბსოლუტურად არათანაბარ მდგომარეობაში ვართ. შენს შესახებ არაფერი ვიცი.

ნავიგატორი - ასე ჯობია. დამიჯერე.

როსტომი - კარგი. მჯერა. *(იცინის)* ხომ იცი, დამჯერი ვარ.

რეკავს ტელეფონი.

უი.

ნავიგატორი - ეს რა არის?

როსტომი - ტელეფონი რეკავს.

ნავიგატორი - მივხვდი.საიდან გაქვს? არ მახსოვს, ოდესმე დაერეკოს.

როსტომი - ჰო, მართალია, იშვიათად რეკავს... ჩემ ნომერს თითქმის არავის ვაძლევ.

ნავიგატორი - აქამდე სად იყო?

როსტომი - რა გჭირს? ახლა არ მითხრა, ტელეფონზე ვეჭვიანობო?

ნავიგატორი - რატომ არ პასუხობ?

როსტომი - გამაგებინე, აპარატზე ეჭვიანობ?

ნავიგატორი - კლარა გირეკავს? შემორიგება უნდა?

როსტომი - კლარა? ხუმრობ? *(იცინის)*

ნავიგატორი - არ მინდა, რომ შენ გირეკოს! ნუ რეკავს აქ!

როსტომი - მეთამაშები?

ნავიგატორი - გადახვალ და მერე უპასუხებ?

როსტომი *(ბოლოს და ბოლოს, გაბრაზდება)* - სამსახურიდან მირეკავენ! ერთ საათში ავტოფარეხში უნდა მივუყვანო მანქანა... *(პაუზა)* დილიდან რეკავენ.

(ზარი წყდება) აჰა. *(პაუზა)* დამშვიდდი ახლა?

პაუზა.

ნავიგატორი - არ მატყუებ?

როსტომი - მეცინება... ჭკვიანი ქალი მგონიხარ...

ნავიგატორი - არ მომატყუო, გევედრები. ტყუილს ვერ ავიტან, როსტომ. ტყუილი გამაფუჭებს.

როსტომი - გინდა, ფანჯარა ჩამოვწიო და გადავაგდო?

ნავიგატორი - არ მინდა.

როსტომი - მაშინ ნუღარ მელაპარაკები ასე.

პაუზა.

ნავიგატორი - ჩემ თავს ვერ ვცნობ. მაპატიე. არანორმალურივით ვიქცევი.

როსტომი - გული გამიხეთქე...

ნავიგატორი - თუკი არ დააბრუნებ, რას გიზამენ?

როსტომი - მანქანას? ალბათ, ჩათვლიან, რომ მოვიპარე.

ნავიგატორი - რას აპირებ?

როსტომი - არ ვიცი, კარგია ეს თუ ცუდი, მაგრამ ამწუთას საერთოდ არ ვფიქრობ ამაზე.

ნავიგატორი - მანქანა დააბრუნე და მე გამაქირავე ხოლმე.

როსტომი - რა?

ნავიგატორი - ჰო, მძღოლებს მიმაქირავე. ფულს იშოვი.

როსტომი - სერიოზულად ამბობ? და შენ გგონია, ამას ვიკადრებ? ბორდელის გახსნას მთავაზობ?

ნავიგატორი - სხვანაირად არ ვიცი, როგორ დაგეხმარო.

პაუზა.

როსტომი - ცოლად გამომყევი.

პაუზა.

ნავიგატორი - არა.

როსტომი - ოფიციალური ერთიერთობები გაშინებს?

ნავიგატორი - ასე ცუდად ვართ?

როსტომი - არაფერი შეიცვლება. ერთადერთი, დედაჩემს გაგაცნობდი.

ნავიგატორი - აბა, მიმატოვაო?

როსტომი - ერთად მოვძებნიდით.

ნავიგატორი - რომ არ მოვეწონო?

როსტომი - მოეწონები. რამეს მოვიგონებთ.

ნავიგატორი - ფანტაზიას არ უჩივი, მართალი ხარ.

პაუზა.

როსტომი - ნეტა იცოდე, როგორ მინდა, ჩემს გვერდით იყო; გხედავდე, ხელს გკიდებდე...

პაუზა.

ნავიგატორი - მეც.

როსტომი - მინდიხარ.

პაუზა.

ნავიგატორი - მეც.

პაუზა.

როსტომი - შენი მოფერება მინდა. *(პაუზა)* უსახლკარო საყვარლებივით ვართ... რა გვეშველება...

პაუზა.

ნავიგატორი - გაიხადე.

როსტომი - გავიხადო?

ნავიგატორი - ჰო.

როსტომი *(აღელდება)* - არა...

ნავიგატორი - გაიხადე.

როსტომი - სერიოზულად მეუბნები?

ნავიგატორი - გაიხადე.

როსტომი -ხალხი დაგვინახავს...

ნავიგატორი - ყურადღებას ნუ მიაქცევ.

პაუზა.

როსტომი - ნუ მაგიჟებ...

ნავიგატორი - გთხოვ.

პაუზა.

როსტომი - ო, ღმერთო, რას მაკეთებინებ...

ნავიგატორი - არ გინდივარ?

როსტომი - რას მეკითხები, აბა... ვერ ხედავ?

ნავიგატორი - შენს სუნთქვას ვგრძნობ. გაიხადე.

როსტომი - ჩემს თავს გარედან ვხედავ... მეცინება.

ნავიგატორი - აქ მარტო ჩვენ ვართ. შარვალი ჩაიწიე.

როსტომი - დარწმუნებული ხარ?

ნავიგატორი - აბსოლუტურად.

როსტომი - არ მჯერა, რომ ამას მე ვშვრები...

ნავიგატორი - არც მე...

პაუზა.

როსტომი - ჩავიწიე.

ნავიგატორი - თვალები დახუჭე.

როსტომი - მანქანა როგორღა ვმართო?

ნავიგატორი - სიჩქარეს ნუ მოუმატებ. ოცდაათს არ აცდე.

პაუზა.

როსტომი - ახლა რა ვქნა?

ნავიგატორი - მოეფერე საკუთარ თავს.

როსტომი - მასტურბაციას მთავაზობ?

ნავიგატორი - მე წარმომიდგინე.

როსტომი - ცალი ხელით მანქანა არასდროს მიტარებია.

ნავიგატორი - ჩემზე იფიქრე. მანქანაზე ნუ ფიქრობ.

როსტომი - შენზე ვფიქრობ...

ნავიგატორი - მაკოცე.

როსტომი - გკოცნი...

როსტომს სხვა მანქანებიდან უპიპინებენ.

ნავიგატორი - მოგწონვარ?

როსტომი *(ლაპარაკი უჭირს)* - ძალიან...

ნავიგატორი - გყოლია ჩემნაირი?

როსტომი - საიდან, აბა...

ნავიგატორი - ასე ახლოს არავინ მომიშვია.

როსტომი - აბა, ბევრი მყავდა შენამდეო?

ნავიგატორი - მოგატყუე. არავინ მყვარებია... შენამდე. სულ ჩემთან იქნები?

როსტომი - სულ...

ნავიგატორი - სიჩქარეს ნუ უმატებ... ოცდაათს არ აცდე. შენ ხაზზე იარე.

როსტომი *(თითქოს აღარც უსმენს)* - ბევრი შვილი უნდა გვყავდეს... უნდა გავიქცეთ აქედან და სადმე შორს ავიშენოთ სახლი...

ნავიგატორი - ჰო, არავინ არ უნდა მოგვაგნოს. *(პროფესიული ტონით)* ხაზი დაიცავი!

როსტომი - ცუდად ვარ...

ნავიგატორი - ნელა... ნელა...

როსტომი - შენს მეტი არავინ მჭირდება.

ნავიგატორი - არც მე... ოღონდ ნუ ჩქარობ. სწრაფად სიარული არასდროს გყვარებია.

როსტომი - აღარ შემიძლია...

ნავიგატორი - პედალს ნუ აჭერ...

როსტომი - წამიყვანე აქედან...

ნავიგატორი - როსტომ, ჩქარობ! ხელი შეანაცვლე!

როსტომი - არ მინდა აქ...

ნავიგატორი - თვალები გაახილე!

როსტომი - არა... არ მინდა, რომ ამ ხალხს ვხედავდე. ვერ ვიტან ამ ქუჩებს... მეზიზღება ეს სახლები! არ მინდა, რომ ვცნობდე ამ ყველაფერს... აღარ შემიძლია ამ გაბოროტებული სახეების ყურება... და არც ჩემი თავის დანახვა მინდა; უნდა მოვხსნა ეს სარკე... საქარე მინებსაც მოვხსნი, აგერ ნახავ! არ მაინტერესებს, როგორ გამოვიყურები... მინდა, მარტო შენ გიყურო...

ნავიგატორი - როსტომ, ნელა... დავიმტვრევით.უმორჩილესად გთხოვ, თვალები გაახილო.

როსტომი - არ შემიძლია...

ნავიგატორი - პირდაპირი მნიშვნელობით გეუბნები და არა ფიგურალურად. უსაფრთხოების მიზნით გაფრთხილებ...

როსტომი - მითხარი, რომ გიყვარვარ...

ნავიგატორი - მიყვარხარ, როსტომ... ოღონდ პედალს ფეხი აუშვი...

როსტომი - მითხარი...

ნავიგატორი - არ გესმის, რას გეუბნები?

როსტომი - ერთი წუთით...

ნავიგატორი - როსტომ, მტკენ...

როსტომი - მაპატიე... ცოტაც მოითმინე... სულ ცოტა...

ნავიგატორი - როსტომ, დავიმტვრევით!

როსტომი - რა გჭირს, ფრიგიდული ხომ არ ხარ?

ნავიგატორი - ნელა...

როსტომი - აი...

ნავიგატორი - თვალები გაახილე!

როსტომი - მოიცა...

შეჯახება.

35.

ლიფტში

ჯაყელი, აკრბა

აკრბა - თქვენ რომელზე?

ჯაყელი - მერვეზე.

პაუზა.

აკრბა - დავიძარით?

ჯაყელი - მგონი, კი.

აკრბა - ვერასდროს ვახერხებ დაძვრის ფიქსირებას.

ჯაყელი - დიახ, საერთოდ არ იგრძნობა.

აკრბა *(შეცბება)* - ვა! ეს რა არის?

ჯაყელი - რა? *(პაუზა)* ა, ეს... ჰო... აქაც ჩამოკიდეს...

აკრბა - რა უბედურებაა, მიცვალებულის ფოტოს ლიფტში დაკიდება! არ გეჩვენებათ, რომ ეს საშინლად ვულგარულია?

ჯაყელი - დირექტორის ბრძანებაა.

პაუზა.

აკრბა - *ორმოცამდე* აქ უნდა ეკიდოს?

ჯაყელი - ვერ გეტყვით.

პაუზა.

აკრბა - თქვენი მეგობარი იყო, არა?

ჯაყელი - დიახ.როგორც ჩანს, ოთარმა დროულად დასვა მისი საკითხი თათბირზე. როგორ შეიძლებოდა არამდგრადი ფსიქიკის მქონე ადამიანისათვის მანქანის თხოვება!

ჯაყელი - უფრო ადრე რომ დაესვა ეს საკითხი, უკეთესი იქნებოდა. კაცი შესაძლოა ცოცხალი ყოფილიყო.

აკრბა - ხომ იცით, სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს.

ჯაყელი - მართალია.

აკრბა - შეეგუეთ ახალ ადგილს?

ჯაყელი - კი. ადვილად.

აკრბა - მახსოვს, ღელავდით.

ჯაყელი - დიახ, არ მინდოდა კაბინეტიდან გასვლა. *(იცინის - უცებ წყვეტს სიცილს)*

აკრბა - უკვე მოინახულეთ მშენებლობები?

ჯაყელი - ორშაბათს გავდივარ.

პაუზა.

აკრბა - გავჩერდით?

ჯაყელი - მგონი, კი.

აკრბა - კარი რატომ არ იღება? *(პაუზა)* აი, გაიღო... აბა, წარმატებები.

ჯაყელი - გმადლობთ.

36.

ახალ მანქანაში

ჯაყელი, ნავიგატორი

ნავიგატორი - ორმოცდაათ მეტრში შესახვევი მარჯვნივ. *(პაუზა)* შეუხვიეთ.

(პაუზა) ბრუნი წრეზე. *(პაუზა)* ყურადღება! ბრუნი წრეზე. შეუხვიეთ.

პაუზა.

ჯაყელი - ახლავე.

ნავიგატორი - ბრუნი წრეზე.

პაუზა.

ჯაყელი *(ხმადაბლა)* -შეგიძლია, დამელაპარაკო?

პაუზა.

ნავიგატორი - ათ მეტრში შესახვევი მარჯვნივ.

პაუზა.

ჯაყელი - ვერ გაიგე, რა გკითხე?

ნავიგატორი - შეუხვიეთ.

ჯაყელი *(კონსპირაციულად)* -ვიცი, რომ კონტაქტი შეგიძლია. *(პაუზა)* არ გესმის ჩემი?

ნავიგატორი - შეუხვიეთ მარჯვნივ.

პაუზა.

ჯაყელი - შენზე ბევრი მსმენია... შეიძლება უშუალოდ შენზე არა, მაგრამ... რა მნიშვნელობა აქვს! თუკი შესაძლებელია, იქნებ შევძლოთ შედარებით არაფორმალური კონტაქტი. ღმერთო,რა სისულელეებს ვლაპარაკობ!

ნავიგატორი - მობრუნდით!

ჯაყელი - ბატონო?

ნავიგატორი - ...პირველივე შესაძლებლობისთანავე.

ჯაყელი - აჰა... ახლავე. მე დამჯერი ვარ, პრობლემებს არ შევქმნი.

ნავიგატორი - მობრუნდით პირველივე შესაძლებლობისთანავე.

ჯაყელი - დამელაპარაკე, გთხოვ... ძმის სულს ვფიცავარ, არავის ვეტყვი. რაღაც მინდა, გკითხო. წამლებზე ვზივარ. ნერვოზი მაქვს. დამლაპარაკებელი არ მყავს...

ნავიგატორი - მოსახვევი ოც მეტრში.

ჯაყელი - დეპრესია მაქვს... და ამას ვერავინ ხედავს. ამ დროს, არ ვარ ის ტიპი, გამოვდგე და ვიქაქანო... ვის აინტერესებს!

პაუზა.

ნავიგატორი - მოუხვიეთ.

ჯაყელი - ვუხვევ, ჰო! *(ხელს ურტყამს ნავიგატორს)* არ მოდის ჩემი ხმა?

გამეცი პასუხი! რა გავაკეთო, რომ მეკონტაქტო? გეხვეწები... მეწყინება, იცოდე... გთხოვ... ძალიან გთხოვ...

დასასრული

ლაშა ბუღაძე, 2010-2011